საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 15 იანვარი, 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება წვრილ ლზრიფტი ზომის 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნახევი განცხადებები არ იბეჭდება. რედაქციის და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 10

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა

№ 10

უზომოთ დამწუხრებული დედა ანანო, ცოლი ნინა და ძმა კოლა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარის ქართული კლუბის ელექტრო-მანტიორის

**ანტონ ალექსანდრეს ძის არჯევანიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 15 იანვარს ახალი სტილით. გამოსვენება დილით 10 ს. ჭავჭავაძის ქუჩა № 20. დაკრძალვა ნინო წმინდის სასაფლაოზე. (165—2—2)

---

ღრმად დამწუხრებული ქვრივი ლევან თოფურიას ასული მახსულიასი და შვილი მისი პაწია ვიტუშა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს, რომ 19 იანვარს აბაშაში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი მეუღლის

**ნიკიფორე ივანეს ძე მახსულიას**

სულის მოსახსენებლად. (161—2—2)

---

ღრმად დამწუხრებული: მამა იაგორი, დედა ელისაბედ, ძმები: კოსტა და პლატონ, ბიცოლები: ნინა და ლიზა; ბაბუა ნიკოლოზ, ბებია ევგენია, ბიძაშვილები: პროკოფი და პავლე გიორგაძეები, ბაბუა გიორგი, ბიძაშვილები: ეკა, თომა და ვენედიქტე თელიები, მამიდები: მარო, მართა და ქრისტინე, ნათლიები: ნარიო დუმბაძე და კონსტანტინე ზერაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მოკეთეთ უდროოდ გარდაცვალებას მათთვის ძვირფას და დაუვიწყარს მეოთხე ქალთა გიმნაზიის მოწაფის

**ელენე იაგორის ასულის გიორგაძისას**

დაკრძალვა 15 იანვარს, (ახ. სტ.) წმ. ნინოს ეკლესიაში. მიცვალებულს გამოასვენებენ ამიანცის სახლიდგან 12 საათზე, ლდ. ალექსეევის ქუჩა № 14 მესამე შესახვევი. (147—3—3)

---

გულდათუთქულნი ქმობლები: სოლომონ და ანტა, ძმები არჩილი და მიშა, და ნადია, ბიძები სანდრო და ვასილი, ბიძაშვილები სონა და მანია მენთეშაშვილები, მამიდა ნატალია და სიძე დიანოზ შავლეშვილები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოთ დაკარგვას მათი ძვირფას

**ნინა (თამარა) სოლ. ასული მენთეშაშვილის**

გამოსვენება ხუთშაბათს 15 იანვარს დილის 10 ს. კახეთის ქ. № 10, წმინდა მარინეს ეკლესიაში, დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე. (150—2—2)

---

ღრმად დამწუხრებულნი: ბაბუა დუტუ დგებუაძე და მეუღლე მისი მარო დგებუაძისა დადიანის ასული, მამა ევგენი ბოკუჩავა, მეუღლე მისი ნინო ბოკუჩავა დგებუაძის ასული და დები გარდაცვალებულისა მარიამი, ეგი, პარასკევა, მინა და ქეთე ბოკუჩავას ასულნი აუწყებენ ნათესავებს, რომ 26 დეკემბერს (ძვ. სტილით) ალავერდის ეკლესიაში გადახდილ იქმნა ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ერთად ერთი დაუვიწყარი ვაჟიშვილის

**გრიშას და ასულის პაშას**

სულის მოსახსენიებლად. (ქუთ. 23—1—1)

---

ქ. თფილისის საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირის კოლექტივების აღმასრულებელი კომიტეტები: კავკასიის, თფილისის სავაჭრო ბანკის, სათავად აზნაურო სადგილ-მამულო ბანკი, განყოფილებები: აზოვ-დონის, ვოლგო-კამის, პეტროგრადის საერთაშორისო და მოსკოვის სახალხო ბანკების, თფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების, პირველი, მეორე და რუსულ და კავკასიის საურთიერთო ნდობის საზოგადოებების, ბ-კ. „ა. ფრიდონოვი და კომპ."-ის და პირველი კერძო ლომბარდისა ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხან-მოკლე მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავკასიის ბანკის მოსამსახურეთა კოლექტივის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი და კავშირის გამგეობის კანდიდატი, ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი

**ნიკოლოზ ილიას ძე ჩიჯავაძე**

გამოსვენება დღეს, ხუთშაბათს 15 იანვარს ქვაშვეთის ეკლესიიდან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (182—1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მარიამი, მამა ლაზარე, ძმა ძიმონი, რძლით და დებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**საშა ლაზარეს ძე ტაგლიაშვილი**

პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარ ბინაზე (თელავის შესახვევი № 5) 5 საათიდან 6 საათამდე. დაკრძალვა, კვირას, 18 იანვარს, პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში. (175—4—1)

---

მეუღლე ნინო ივანეს ასული, დედა ეკატერინე და დომნა, ძმები: მიხეილი და ილია მიქაუტაძეები, ცოლის ძმა გიგო ივანეს ძე ზაზიაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ იანვრის 17-ს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და მათთვის დაუვიწყარი

**გიორგი მამანტის ძე მიქაუტაძის**

სულის მოსახსენებლად. წირვა გადახდილ იქნება კუკიის ნინო წმინდის ეკლესიაში. ხოლო პანაშვიდი კი მიცვალებულის სასაფლაოზე. პანაშვიდი დაიწყება ნაშუადღევის 3 ს. (181—1—1)

---

ზეთის სახდელის და ყოფილი ტიროვის, ალიხანოვის და ტოლეს საპნის ქარხნების აქციონერული საზოგადოების გამგეობა ულრმესი მწუხარებით იუწყება, რომ მუშაობის დროს ტრაგიკულად გარდაიცვალა ქარხნების ზეინკალი

**არმენაკ ხაჩატურის ძე ზალინოვი (პაშინოვი)**

გამოსვენება დღეს, ხუთშაბათს 15 იანვარს, დილის 9 საათ., არამიანცის საავადმყოფოს სამლოცველოდან, საიდანაც წაასვენებენ ქარხნებისკენ. ანდერძის აგება წმ. გრიგოლის ეკლესიაში დაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. (177—1—1)

---

გაზეთ „ერთობის" ასოთ-ამწყობნი აუწყებენ ამხანაგ მეგობრებს, რომ შაბათს 17 იანვარს დილის 3 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი ამავე გაზეთის ასოთ-ამწყობის

**გიორგი მამონტის ძე მიქაუტაძის**

სულის მოსახსენებლად. (უფ 1—1)

---

ყოფილი ტიროვის, ალიხანოვის და ტოლეს ქარხნების აქციონერულ საზოგადოების მუშა-მოსამსახურენი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ მუშაობის დროს ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი ამხანაგი

**არმენაკ ხაჩატურის ძე ზალინოვი (პაშინოვი)**

გამოსვენება დღეს, ხუთშაბათს—15 იანვარს, დილის 9 საათზე, არამიანცის საავადმყოფოს სამლოცველოდან. მიცვალებულს წაასვენებენ ქარხნებისკენ. ანდერძის აგება წმ. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში თაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. (178—1—1)

---

ქ. თფილისის საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონალური კავშირის გამგეობა გლოვით აუწყებს ამხანაგებს, რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავშირის გამგეობის კანდიდატი და კავკასიის ბანკის მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტის წევრი ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი

**ნიკოლოზ ელიას ძე ჩიჯავაძე**

გამოსვენება—დღეს ხუთშაბათს, 15 იანვარს, ქვაშვეთის ეკლესიიდან დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (182—1—1)

---

## გაზ. „ერთობის" რედაქცია და კანტორა გადავიდა ახალ ბინაზე

კრუზენშტერნის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩ. № 18-თან. (უფ)

---

## ქართული სამუსიკო სკოლა ქართულ სამუსიკო საზოგადოებისა

### მისაღები გამოცდა.

როიალის, სიმღერის, ვიოლონჩელის, სკრიპკის, ჩასაბერ ინსტრუმენტების და თეორიის კლასში დაიწყება ორშაბათს 19 იანვრიდან დილის 10—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდის.

**მასწავლებლებად ითვლებიან როიალის კლასში:**

1) მ. მ. ბალანჩივაძე, 2) თავ. ხელ. ე. გ. აბელაშვილი—ყარანგოზიშვილისა, 3) ო. მ. ბერე—პივოვაროვ-სა, 4) თავ. ხელ. ლ. დ. გოლდმანი, 5) თავ. ხელ. ს. ს. კარაკაშ, 6) ნ. გ. კოლაშნიკოვასი, 7) თავ. ხელ. ე. გ. ქიქოძე, 8) ე. ი. პოლტარაცკაია—მალატოვისა, 9) თავ. ხელ. რ. ე. ხოსროევისა.

**ვიოლონის (სკრიპკის) კლასში.**

1) თავ. ხელ. ა. ნ. ყარაშვილი, 2) თავ. ხელ. ი. ი. ფიშბერგი, 3) თავ. ხელ. ვ. ა. მეტილნიკოვისა.

**სიმღერის კლასში:**

1) ა. ი. ჯაყელისა, 2) გ. ი. კირილოვისა, 3) რ. ნ. პოლიაევი, 4) პროფესორი ე. ქ. რიადნოვი, 5) ო. ა. შულგინა.

**ჩასაბერ ინსტრუმენტების კლასში:**

ფლეიტის კლ.—ფიდელმანი, გობოის. კლ.—ა. ი. გროშევი, კლორნეტის კლ.—ფაინერი, ფაგოტას. კლ.—ნეიმან.

**საოპერო სტუდიის კლასში:**

ს. ა. სოლერმანი.

**თეორიის და კომპოზიციის კლასში:**

თავ. ხელ. ი. ს. აბაშიძე (ქართ. განყოფილება) დ. ე. არაყიშვილი (რუს. განყ.) სხვა სპეციალურ საგნებისათვის მოწვეულნი არიან ახალი მასწავლებლები. იხსნება საოპერო კლასი. სწავლა დაიწყება ორშაბათს 19 იანვრიდან ჩვეულებრივი დროიდან. (ნ. 2—1)

---

## მეოთხე რაიონული კოლექტივი

ხუთშაბათს, 15 იანვარს, საღ. 6 საათზე, ვერის მუშათა კლუბის დარბაზში იწვევს ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონის პარტიის

## წევრთა საზოგადო კრებას

დღის წესრიგი: საქართველოს კონსტიტუცია, მოხსენება ამხ. პ. საყვარელიძისა. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მე-4 რაიონული კოლექტივი. (უფ. 2—2)

---

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის

## სამაზრო კომიტეტი

17 იანვარს იწვევს მაზრის ორგანიზაციათა

## კოლექტივების პარტიულ ყრილობას

დღიური წესრიგი: 1) მოხსენება სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) მიმდინარე მომენტი, 4 ორგანიზაციული მუშაობა, 5) სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება, 6) კომიტეტის არჩევა. ყრილობა გაიხსნება დილის 12 საათზე სამაზრო ერობის ბინაზე, რუსთაველის პროსპ. № 6. კომიტეტის პრეზიდიუმი. (145 5—4)

---

## დრამატიული საზოგადოების სარევიზიო კომისია

აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19 იანვარს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა

## საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1) მიღება ახალ წევრებისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3) არჩევნები ახალი გამგეობისა, 4) მიმდინარე საკითხები.

კრება შედგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად (171—5—2)

---

## იყიდება სახლი

ერთობის უბანში, მუშათა კლუბის წ 6, ზომით 170 ოთხკ. საჟენი. ზედ გაშენებულია ორი თვალი დუქანი, ერთი ოთახი თავისი სამზადით. აგრეთვე „სპიროტშიკი" „ვესტინგჰაუზ კომპანია"-ს ფირმისა 25 ამპერი 220 ვოლტი, მარმარილოს ფიცრით, რუბილნიკით „პრედოხრანიტელით", ორიც „რეოსტატი" და სხვადასხვა ელექტრონის ნაწილები. აგრეთვე გვაქვს გასაყიდი მოლიბერი ფურგუნები, თვლები, ღერძები და სხვა იარაღები. მისამართი: საბურთალო, ლიბანაძე სახლი. დილის 7—9 საათ. საღ. 3—7 ს—დე. (176—1—1)

---

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.)

---

ექიმი ხარიტონ ამბროსის ძე

**ცეხანოვსკი**

საპირონი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე ახლომწიფო თეატრის უკან.

ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს (606—914) მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—3423)

---

## იყიდება

„ბუდკა" თავის მოწყობილობით, მუშტაიდის შესახვევი № 11 იკითხეთ იქვე ელისაბედის ქუჩა № 202. (170—4—2)

---

## ნაცად გზით

ის დიდი გამარჯვება, რომელსაც საქართველოს დემოკრატიამ მიაღწია დიდ სახელმწიფოთა მიერ ჩვენი რესპუბლიკის ცნობით, იმას დაამტკიცებს, რომ ჩვენი პოლიტიკური გზა წარსულში სწორე იყო, და მაშასადამე, მომავალშიაც არა გვაქვს საბუთი მის გადახვევისა და ჩვენი პოლიტიკის შეცვლისა. ჩვენი პოლიტიკის ფორმულა ჩვენ არა ერთხელ გამოგვიხატია შემდეგ სიტყვებში: „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ". ერთის მხრით დავიცვათ რაც ჩვენ რევოლუციის გზით მოვიპოვეთ და განვახორციელოთ იმ ლოზუნგებს, რომელიც რევოლუციამ დღიურ წესრიგში დაგვიყენა, მეორე მხრით, თავიდან აშორება მაქსიმალისტურ ექსპერიმენტებისა, რომელსაც მხოლოდ ნგრევის და ანარქიის მოტანა შეუძლიათ ხალხისათვის. რეაქციის და ანარქიზმის შუა ფრთხილათ ატარებს დემოკრატია ჩვენს ნავს და წლინ ხევრის შრომით პირველ ნავთსაყუდელთან კიდეც მიაცურა. ჩვენი პოლიტიკური ხაზი საგარეო საქმეების სფეროში გამოიხატებოდა იმაში, რომ ჩვენ მტკიცედ ვაწარმოებდით ნეიტრალიტეტს და თავდაცვას, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვიყავით სხვა სახელმწიფოების საქმეებში ძალით ჩარევის და მედგარ წინააღმდეგობას ვუწევდით ყველას, ვინც ჩვენს საქმეებში ძალით ჩარევას მოინდომებდა.

ამნაირმა პოლიტიკამ ისეთი დიდი ნაყოფი მოგვცა, რომ ჩვენ გვგონია, იგი მომავალში სახელმძღვანელოდ და სამაგალითოდ უნდა გადაიქცეს არა მარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენის მეზობლებისათვისაც.

მრავალი ცთუნება ხვდება გზაზე პატარა სახელმწიფოების პოლიტიკას. ორი-სამი თვის წინათ, როდესაც ძლევამოსილი დენიკინი უკვე ტულას მიადგა და მოსკოვის აღება რამდენიმე დღის საკითხი იყო, როდესაც იუდენიჩი უკვე პეტერბურგის წინეში შედიოდა, ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებმა არა ერთხელ მოისმინეს თავის „კეთილისმყოფლებისაგან" „მეგობრული" რჩევა—სულ ერთია, დენიკინი მთელს რუსეთს დაეპატრონება და მაშ სჯობია ამ თავითვე მისი გული მოვიგოთ და ჩვენც აქედან ბოლშევიკებს დავეცხოთო. ეს ცთუნება ისე ძლიერი იყო, რომ საქართველოს დემოკრატიას დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა, რომ ამ გზით სვლა თავიდან აეცილებინა ამიერ კავკასიისთვის. ეხლა ყველასათვის აშკარაა რა საშინელი შეცდომა იქნებოდა წვრილ ერ სატიმის გაყოლა და დენიკინელთა „ერთი საათით ხალიფობით" დაბრმავება.

დღეს სრულიად საწინააღმდეგოის სურათი სრულიად შეიცვალა და ამიერ კავკასიას მეორე მხრით ელინება ცთუნება. ბოლშევიკების „წითელი" რაზმები ანადგურებენ დენიკინის შავს არმიას. უკვე აღებულია ცარიცინი, როსტოვი, ტაგანროგი, „წითელი არმია" დღეს-ხვალ მოადგება თვით კავკასიას. და როგორც 2—3 თვის წინათ გამოგვიჩნდენ „კეთილისმყოფელნი", რომლებიც დენიკინთან ერთად ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევის აუცილებლობაზე გვითითებდენ, დღეს კიდევ უფრო დიდი რიცხვი „კეთილისმყოფელებისა" გვ ურჩევს რუსეთის სამოქალაქო ომში ჩარევას და ბოლშევიკებთან ერთად დენიკინის წინააღმდეგ შეტევით ომის დაწყებას და როგორც 2—3 თვის წინათ ამიერ-კავკასიაში ბევრი მზად იყო დენიკინის აგენტების ანკესზე წამოგებულიყო, დღეს კიდევ უფრო მეტია იმისთანა, რომლებიც „წითელ არმიის" გამარჯვებით დაბრმავებულნი, მზად არიან „კომუნისტების" ანკესზე წამოეგონ.

ბაქოდან მოსულ ცნობების თანახმად, იქ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია მზად ყოფილა მიიღოს საბჭოთა რუსეთის წინადადება სამხედრო ხელშეკრულების ჩამოგდების შესახებ დენიკინის ჯარებთან შეტევით ომის დასაწყებათ. ამ გზისაკენ ეწევა ადერბეიჯანის მთავრობას ზოგიერთი „სოციალისტური" პარტიაც კი (მაგ. სოც. რევოლუციონერები) ამნაირ შეთანხმების მომხრე ყოფილა მემარჯვენე მუსულმანთა პარტია „ებრარ"-იც. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს მიმართულება ადერბეიჯანში დღეს გასავალს ვერ პოულობს: ამ ს სულ თემო დამტკიცებაა ის პასუხი, რომელიც ადერბეიჯანის მთავრობამ გაუგზავნა ჩიჩერინისათვის და რომელიც არსებითად ისეთივეა, როგორც საქართველოს მთავრობის პასუხი.

წარსულის გაკვეთილები მეტად მრავალ-მეტყველი და საგულისხმოა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მოვახერხებთ ძველ ნაცად გზით ვატაროთ ამიერ-კავკასიის დემოკრატია და ავაცილოთ იგი საშიშ ექსპერიმენტების და ავანტიურის გზას. ჩვენი გზა საგარეო პოლიტიკაში იგივე იქნება, რომლითაც წლინახევრის განმავლობაში მივდიოდით: არც სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩავერევით და არც სხვას მივცემთ ნებას ჩვენ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაერიოს.

და რამდენადაც ჩვენი ხმა ძლიერ იქნება, ამავ გზისკენ მოუწოდებთ მთელს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, ყველა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოს.

---

## ჩვენი სკოლები

მასწავლებელთა ყრილობამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან სკოლების მდგომარეობის შესახებ. ეს მოხსენებები ყველაზე მეტად საყურადღებო იყო. აქ ჩვენ ნათლად დავინახეთ თუ რა მდგომარეობაშია დღეს სახალხო სკოლები ზოგიერთ მაზრაში. სურათი მეტად დამღონებელია და ითხოვს სერიოზულ ყურადღებას. ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა დღემდის ისეთი იყო, რომ ხშირი რამ გვეპ ტ ვება ჩვენი შინაური საქმეების მოუწყობლობაში. შეუძლებელიც იყო უნაკლოთ და უდეფექტოთ ამა თუ იმ დარგის მოგვარება-მოწყობა. უნდა ითქვას, განათლების სამინისტრომ ასეთ პირობებშიაც შესძლო ისეთი დიდი საქმის გაკეთება, როგორიცაა სკოლის გაეროვნება, მისი დემოკრატიულ საფუძველზე აგება. ამ ძირითადი რეფორმის გატარება ნორმალურ პირობებშიაც კი არ იყო ადვილი და იოლი. რაკი საძირკველი ჩაყრილია, მაზე კედლების აშენება არც ისე ძნელი იქნება. ეს არის დროსა და პირობების საკითხი და ჩვენ დარწმუნებული ვართ ეს ნაკლიც მალე გამოსწორდება.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც გვინდა უწყების და ერობების ყურადღება მ

# დღეს

**სამხრეთის ფრონტის უფროსი ჯარებისადმი გამოცემულ ბრძანებაში აღნიშნავს, რომ უმთავრესი მიზანი—გასრესა მოხალისეთა ჯარისა და დაპყრობა დონეცის რაიონისა—მიღწეულია.**

**ინგლისის რწმუნებული ლონდონიდან უკვე გაემგზავრა ბერლინში.**

**ფრანგული პრესის ცნობით ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობათა თავმჯდომარეების თათბირი გრძელდება. მათ უკვე განიხილეს ოსმალეთის და ადრიატიკის საკითხები.**

**ბოლშევიკების ცნობით იაკობშტადის მიმართულებით საბჭოთა ჯარი უკან იხევს ალმოსავლეთში კი—წინ მიიწევს.**

ვაქციოთ ზოგიერთ მაზრებზე, იმ მაზრებზე, რომლებიც დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ. დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი მოკლე ანგარიშიდანაც კი მკითხველი ნათლად წარმოიდგენს სკოლების უმწეო მდგომარეობას ზოგიერთ მოშორებულ მაზრებში. ფშავ ხევსურეთში სულ რაღაც სამიოდე სკოლა ყოფილა. თიანეთის მაზრაში სკოლების რიცხვი გამრავლებულა, მარა მომხსენებლის სიტყვით მასწავლებლები ნახევარჯერ არ არიან სკოლაში, შემადგენლობა იმდენათ სუსტია თურმე, რომ ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებს იმ მაღალ დანიშნულებას, რომლისთვისაც მოწოდებულია სახალხო მასწავლებელი. ზოგიერთ მოშორებულ ადგილებში თურმე არავის არ უნდა წასვლა, რის გამო სკოლები თვეობით უმასწავლებლოთ რჩება. ყოფილა მაზრები და რაიონები, სადაც სწავლა შეწყვეტილა მინების უქონლობის გამო და სხ.

მასწავლებლების ნაკლებობა, მათი ნაკლები მომზადება არც ისე ადვილი დასაძლევია. სკოლების რიცხვი მეტად გამრავლდა, გაეროვნებამ მასწავლებელთა რიცხვი შეამცირა, სახელდახელოთ მომზადება ძნელი ხდება—ყოველივე ეს კი იწვევს მათი რიცხვის სიმცირეს და ასე სწავლა-განათლებისადმი წყურვილი დაუკმაყოფილებელი რჩება. ამიტომ, პირველ ხანებში შესაძლებელია საკმაოთ მომზადებულ მასწავლებელთა რიცხვი არ გვეყოლოს, მარა ამას არ უნდა დავერიდოთ და სახელდახელო კურსების საშვალებით მომზადებული პირები გამოვიყენოთ, რომ წერა-კითხვა მაინც ასწავლოს ისეთ მაზრებს, როგორც ფშავ-ხევსურეთი, თიანეთი და სხვა ასეთი ადგილებია. სამი სკოლა მაზრაში! ეს დაუშვებელია. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. მარა ესეც არ კმარა. ასეთ ადგილებში თანასწორ პირობებში არავის უნდა წასვლა. ამიტომ აუცილებელია ასეთი ადგილებისათვის შეიქნას რაიმე პრივილეგია, ანდა იქ სამსახური სავალდებულო ხასიათის იყოს.

ასეთივე მდგომარეობაში იყო რაჭა და ლეჩხუმი მოსამართლეების მხრივ. მთელი წლის განმავლობაში მაზრები უმსაჯულოთ იყო დატოვებული. წასვლის მსურველი არავინ იყო. ახლა, როგორც გადმოგვცეს, იუსტიციის სამინისტროს დაუდგენია: თფილისში და სხვა ასეთ ადგილებში პირველ რიგში გადმოიყვანილ იქნებიან ის მსაჯულები, რომლებიც განსაზღვრული ვადით იმსახურებენ თუ მსახურობენ რაჭა-ლეჩხუმში და სხვა ასეთ ადგილებში. ამ დადგენილების შემდეგ უკვე გამოჩენილან მსურველები. ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი თუ სხვა სახის ზომა აქაც საჭირო და აუცილებელია.

მომაკვდინებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს მინების უქონლობით სკოლებში მეცადინეობის შეწყვეტა. დავუჯეროთ რომ რესპუბლიკის რომელიმე ქალაქში კერძო პირის თუ საზოგადოებრივი დაწესებულების საწყობში იმდენი მინა არ იშოვება, რომ სკოლები არ დავხუროთ!! ამას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება და ფეხზე დაყენებული სკოლები დანგრევას გადავარჩინოთ.

დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ მთელი ჩვენი ძალები რესპუბლიკის კულტურულ აღორძინებას უნდა მოვახმაროთ. მართალია საგარეო საქმეები ჯერ კიდევ დიდ შრომას და ენერგიას ითხოვს, მაგრამ ჩვენ გვჯერა მალე დადგება ის დრო, როცა არამც თუ ენერგიის, ჩვენი ბიუჯეტის ნახევარის მაინც დახარჯვა შესაძლებელი გახდება ჩვენი კულტურული აღორძინებისათვის. ამ დროს მოლოდინში ყოველ-გვარი საშუალებით უნდა ვისარგებლოთ, რომ ხალხის სწავლა აღზრდისადმი წყურვილი დავაკმაყოფილოთ და მისდამი მიდრეკილებას ყველაფრით ხელი შევუწყოთ.

განი.

# პრესა

„ამხანაგორი" (№ 11) ეხება საქართველოს და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებას და ხანას შორმის შემდეგს სწერს:

„ამიერ-კავკასიის ყველა გულწრფელ მეგობრებს არ შეუძლიათ მთელის სიხარულით არ მიესალმონ ამ აქტს, რომელიც ახალ ხანას ჰქმნის მის ისტორიაში.

„მომავალი ისტორიკოსი თავისებური მიუდგომლობით შესძლებს გაუკეთოს შესაფერი დაფასება დემოკრატიის იმ ხანგრძლივ ბრძოლას, რომლის შედეგს შეადგენს ეს აქტი.

„ჩვენთვის, ეჭვს გარეშეა, ის ფაქტი, რომ უზენაესი საბჭოს ზემოხსენებული ნაბიჯი უნარია ამიერ კავკასიის დემოკრატიისა.

„მაგრამ საკითხია, თუ რამ აიძულა ის, რომ ასე ჰალე და მოულოდნელათ ეცნათ მოკავშირეებს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობანი. ამის მიზეზი უნდა მოიძებნოს პოლიტიკურ მდგომარეობაში, რომელიც შექნა ბოლშევიკების უკანასკნელი გამარჯვებით სამოქალაქო ომში.

„ბევრი დაგვიწერია ბოლშევიკების მოლვაწეობაზე და აგრეთვე მიგვითითებია იმ ხიფათზე, რომელიც მოელის მოკავშირეთა და, კერძოთ ინგლისს. იმ დროს, როცა გამარჯვებული ბოლშევიზმი ემზადებოდა თავის ტალღებში ჩაეთრია აღმოსავლეთის მთელი მაჰმადიანობა და ამიერ-კავკასიის ერები, როცა ბოლშევიკური პანისლავისტური ბლოკი ემზადებოდა ჩაეცა თავისი უკანასკნელი და სასიკვდილო მახვილი ევროპიულ იმპერიალიზმისათვის — მოკავშირენი იძულებული იყვნენ გადაეჭრათ ეს საკითხი: დაეკმაყოფილებიათ თვით გამორკვეული ერების მოთხოვნილება მათი დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, თუ საკუთარ ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავათ ხიფათში ჩაეგდოთ თავიანთი საკუთარი ახალშენები და მშვიდობიანობის საქმე და საერთოთ არსებული წესწყობილობა. უზენაესმა საბჭომ აირჩია პირველი გზა.

„ამ თვალსაზრისით აზერბეიჯანის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას მიზნათ აქვს მხოლოდ გაერთიანება იმ ბუფერ სახელმწიფოთა ჯაჭვისა, რომელთაც სურთ მოკავშირეებს კოლჩაკ დენიკინის (ადების შემდეგ შებოჭონ და ჩაახრჩონ ბოლშევიზმი. მაგრამ რა მიზნებიდაც არ უნდა გადაედგათ ეს ნაბიჯი, ყველა შემთხვევაში წარსული თვლებია, რომ ამიერკავკასიის დემოკრატია იმდენათ შეგნებულია და ძლიერია, რომ სათამაშოთ არ გაუხდება „მესამე ძალას".

„მივესალმებით საქართველოს და აზერბეიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ოჯახში მიღებას და დარწმუნებული ვართ, რომ ეს ისტორიული ფაქტი ხელს შეუწყობს ქართველ და თათარ დემოკრატიების ეროვნულ აღორძინების და იმავე დროს დააჩქარებს მშრომელ ხალხების მომავალ იდეალის—სოციალიზმის გამარჯვების საქმეს.

# აზერბეიჯანის პასუხი საბჭოთა რუსეთს.

აზერბეიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბჭოთა რუსეთის წინადადების საპასუხოთ, რომელიც შეეხებოდა სამხედრო კავშირის შეკვრას დენიკინის წინააღმდეგ, შემდეგი რადიოდეპეშა გაუგზავნა: მოსკოვი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს. თქვენი რადიო დეპეშის საპასუხოთ, რომელიც გამოგზავნილია 2 იანვარს და ჩვენ მივიღეთ 6 იანვარს, გატყობინებთ შემდეგს:

აზერბეიჯანის ხალხმა, დიდად ისტორიულ მოვლენათა მსვლელობის ხანაში დიდი მსხვერპლის გაღებით მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა და საფუძვლათ დაუდო თავის სახელმწიფო წყობილებას, დემოკრატიულ რესპუბლიკის პრინციპები. აღიარებდა რა ხალხთა თვით გამორკვევის უფლების თანახმად აზერბეიჯანის რესპუბლიკა, იმ აზრს ადგა, რომ ყოველ ერს აქვს უფლება მოიწყოს თავისი ბედი და ცხოვრება ისე, როგორც მას სურს, ამისათვის აზერბეიჯანის მთავრობას არასოდეს არ მიუცია არავისთვის ნება ჩარეულიყო მის შინაურ საქმეებში და თვითონაც ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა. აზერბეიჯანის მთავრობა შეუძლებლათ სცნობდა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას. აზერბეიჯანი არის ნეიტრალური სახელმწიფო და მზად არის ერთსულოვნად დაიცვას თავისი ქვეყნის თავისუფლება და სუვერენიტეტი ყოველ გარეშე ძალისაგან. აზერბეიჯანის მთავრობა აწარმოებდა მეფის გენერლებთან-დენიკინელებთან ომს, რადგანაც უკანასკნელმა მოინდომა არა ერთხელ მისი დამოუკიდებლობის დამხობა; რომ ჩვენი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრებულიყო, შეგვკარით სამხედრო თავდაცვითი კავშირი საქართველოსთან. ზემო აღნიშნული საგარეო პოლიტიკა მიღებულია აზერბეიჯანის მთავრობის მიერ და უკარნახებს აზერბეიჯანს იქონიოს სხვა ერებთან კეთილ-მეგობრული განწყობილება. ამის გამო აზერბეიჯანის მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან, რომლის მიზანიც უნდა იყოს კეთილი განწყობილება და რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ორივე სახელმწიფოების სუვერენობის პრინციპიდან.

საგარეო საქმეთა მინისტრი ხან-ხოისკი.

# მილოცვები დამოუკიდებლობის აღიარების გამო

**ოვანეს თუმანიანის მილოცვა.**

„ერთობის" და „ბორბის" რედაქციებს 13 იანვარს ეწვია ცნობილი სომხის პოეტი ოვანეს თუმანიანი, რომელმაც მიულოცა რედაქციებს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ანტანტის მიერ. მცხოვანმა მგოსანმა აღნიშნა, რომ საქართველოს და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებით ახალი ხანა იწყება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცხოვრებაში. ო. თუმანიანმა იმედი გამოსთქვა, რომ ამიერ-კავკასიის პრესა, რომელსაც ფართო ასპარეზი გაეხსნა, მთელი თავისი ენერგიით ხელს შეუწყობს ამიერ-კავკასიის ერთა დაახლოვებას.

**დაშნაკცუტიუნის ყრილობისაგან.**

ბედნიერათ ვრაცხთ თავს მივულოცოთ დამფუძნებელ კრებას, როგორც დემოკრატიის უზენაეს ნებისყოფის გამომხატველს უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. დეე ეს ფაქტი, როგორც ისტორიულათ დიად მნიშვნელოვანი იყოს თავდები იმისა, რომ ორი მოძმე დემოკრატია ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლიან უკეთეს იდეალების მისაღწევათ.

დაშნაკცუტიუნის რაიონული ყრილობა საქართველოში.

**ხაჩხერის** სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის საერთო კრება აღფრთოვანებული საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით, ულოცავს ქართველ ხალხს ამ უდიდეს და ისტორიულ აქტს და უსურვებს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას ენერგიას მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავათ და დემოკრატიული უფლებების გასამტკიცებლათ. **ხაჩხერის ორგანიზაცია.**

# დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

14 იანვარი.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი,** იანვრის 13. იმ ახალი გეგმის შესახებ, რომლითაც განზრახულია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მცირე სახელმწიფოთა ამხედრება „იზვესტია" სწერს: ხელმძღვანელობა ამ თავდასხმისა დაკისრებული აქვს პოლონეთს.

სამხრეთის ფრონტის უფროსმა ბრძანებით მიმართა ამ ფრონტზე მებრძოლ არმიებს, სადაც სხვათა შორის ამბობს: „უმთავრესი მიზანი, რომელიც დასახული ჰქონდა სამხრეთის არმიას, სახელდობრ: გასრესა მოხალისეთა ჯარისა, დაპყრობა დონეცის რაიონისა და აღება სამხრეთის კონტრ რევოლიუციონერთა ბუდის როსტოვისა—უკვე მიღწეულია.

**მოსკოვი,** იანვ. 13. სამხედრო ცნობები. რეველის რაიონში, მდინარე კუხვაზე ბრძოლა ცვალებადი ხასიათისა კვლავ გრძელდება. იაკობშტადტის მიმართულებით მტრის ძალდატანებით ჩვენი ჯარი უკან იხევს. დვინსკის მიმართულებით ჩვენ ვიგერიებთ მტრის იერიშებს. სადგურ პრესლავსკის ჩრდილო აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ლეპელის მიმართულებით მზვერავთა მოქმედება გაძლიერდა. ალექსანდროვის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და გზა და გზა იღებს ჰურის მახნოს ბანდებს. მელიტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ სვლას განაგრძობს. სემიპალატინსკის რაიონში ჩვენი წინსვლა გრძელდება. კრასნოიარის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება.

**ბოლშევიკური ბეჭდვის ცნობები.**

საქონლის გაცვლა-გამოცვლის დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად დანიშნულმა კომისიამ მიიღო ფინანსთა მინისტრის, ერცბერგერის მიერ წარმოდგენილი დადგენილებანი. სხვათა შორის კომისია ურჩევს აცხადებს შინაური ფასები მსოფლიო ბაზრის ფასებს შეუფარდეს. კომისია ფიქრობს, რომ საზღვრებზე დაწესებული კონტროლი საკმაო საშუალება იქნება შინაურ და გარეშე ფასების დიფერენციაციისათვის.

**ფრანგული პრესის ცნობები**

„პტი პარიზიენი" გვაწვდის ზოგ ცნობებს, რომლებიც პარიზის მეორე კონფერენციას შეეხება. სამი მთავრობის თავმჯდომარეები, რომელნიც კვირა საღამოს შეიკრიბნენ, ოსმალეთის საკითხს არჩევდნენ, ორშაბათ დილით ადრიატიკის საკითხის განხილვას შეუდგნენ. საღამოს კლემანსომ, ლოიდ-ჯორჯმა და ნიტიმ თავისი საუბარი განაახლეს.

უმაღლესი საბჭო შეიკრიბება სამშაბათს. ამავე სხდომაზე დანიშნული იქნება უნგრეთის ხელშეკრულობის ბუდაპეშტის დელეგაციისათვის გადასაცემად.

ეროვნებათა ლიგის აღმასრულებელი საბჭო შეიკრიბება 16 იანვარს არა ცხრა კაცისაგან, არამედ რვა კაცისაგან შემდგარი, რადგანაც დროებით თავი შეიკავა შეერთებულმა შტატებმა.

ლონდონიდან იუწყებიან: ბერლინში დანიშნული ინგლისის ახალი რწმუნებული ლონდონიდან უკვე წავიდა გერმანიაში, სადაც იგი მალე ჩავა.

ამ ცოტა ხანში ელიან ბერლინის წარმომადგენელს.

შაბათს ეროვნული კრება რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევას შეუდგება: არავის კანდიდატურა არ არის საბოლოოდ გამორკვეული, მაგრამ უეჭველია, რომ პრეზიდენტობაში ყავთ კლემანსო. მაშინ მინისტრთა საბჭოში იქნება მის მოადგილეთ მილერანი.

სენატორთა არჩევნების შედეგები შემდეგია: კონსერვატორებმა მიიღეს 5 ადგილი, დაკარგეს 2; რესპუბლიკელ-ლიბერალებმა მიიღეს 8, დაკარგეს 4; რესპუბლიკელ-პროგრესისტებმა მიიღეს თერთმეტი და დაკარგეს ცამეტი; მემარცხენე რესპუბლიკანელებმა 30 ადგილი, დაკარგეს II; რადიკალ სოციალისტებმა 15 ადგილი, დაკარგეს 32; რესპუბლიკელ სოციალისტებმა 2 ადგილი; შეერთებულმა სოციალისტებმა მოიგეს 2 ადგილი მიღებული და დაკარგულ ადგილთა განსხვავება უდრის ელზას-ლოტრინელებისათვის დანიშნულ ახალ სავარძლების რიცხვს.

# ახალი ამბები

◆ **ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა** შესდგა 13 იანვარს საღამოთი დრ. გველესიანის თავმჯდომარეობით. თვითმართველობის მთელი შენობა გაჩირაღდნებული იყო. შესასვლელი და თვით დარბაზი ნოხებით და მცენარეულობით მორთული იყო. სხდომას დაესწრენ მთავრობის მთელი შემადგენლობა, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები—პოლ. ჰასკელი, ოლ. უორდროპი, იტალიის, საფრანგეთის, სომხეთის და სხ. წარმომადგენლები. დაესწრო აგრეთვე თფილისში სტუმრად ჩამოსული ალ. ხატისოვი, სრულიად საქართველოს კათალიკოსი ლეონიდი და დიდძალი საზოგადოება. დარბაზში შესვლა ბილეთებით შეიძლებოდა მხოლოდ. საბჭოს თავმჯდომარის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციების წარმომადგენლებმა დაწვრილებითი ანგარიშს შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

◆ **სენაკის მაზრაში** ერთ დროულ გადასახადის აკრეფა უკვე მთავრდება. დღემდე შეტანილია ხაზინაში 2,500,000 მანეთი აკრეფა უმტკივნეულოთ მიმდინარეობს.

◆ **სურსათი მუშა-მოსამსახურეთათვის.** 15 იანვრიდან ქალაქის სასურსათო საბჭო შეუდგება შაქრის და ბრინჯის დარიგებას მუშა-მოსამსახურეთათვის, შაქარი მიეცემა სულზე თითო გირვანქა, ბრინჯი ორ-ორი გირვანქა ბრინჯი ეღირება გირვანქა 14 მან., შაქარი 10 მან.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები** მოითხოვენ ყრილობის მოწვევას ახალი, ნდობით აღჭურვილი გამგეობის ასარჩევათ, ამის შესაფერი რეზოლიუციები უკვე გამოიტანეს შემდეგმა დარგებმა: თფილისის ცენტრალურმა ფოსტამ, ტელეგრაფმა, ტელეფონმა მთავარ სახელოსნომ, ტეხნიკურმა განყოფილებამ და ოლქის სამმართველომ, რეზოლიუციებზე ხელის მომწერთა რიცხვი ექვსას აღემატება.

◆ **მუშათა ცენტრალურ კლუბში** 18 იანვარს (პლეხანოვის ქუჩა) დაიდგმება კ. გერგესელის ახალი ორიგინალური პიესა „ნიღაბ-ქვეშ" დრამა 3 მოქ.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს „აბესალომ და ეთერი". 16 იანვარს „ქეთო და კოტე".

◆ **ქალაქის სასურსათო საბჭო** ურიგებს ქალაქის მუშა-მოსამსახურეთ ნახშირს, ოჯახზე არა უმეტეს 2 ფუთისა. 50 მან. ფუთს.

◆ **აკ. ჩხენკელის მოხსენება.** 13 იანვარს სახელმწიფო თეატრში აკ. ჩხენკელმა მოხსენება გააკეთა. მოხსენებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. პ. საყვარელიძის წინადადებით დამსწრე საზოგადოებამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა აზერბეიჯანის სომხეთისა და მთიელთა რესპუბლიკების მთავრობებს. მოხსენების დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

**ქ რ ო ნ ი კ ა**

— 15 იანვარს ნაშუადღევის 4 ს. შესდგება ჩვეულებრივი კრება საქარ. სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის მე-7-ე რაიონულ კოლექტივისა.

— დღეს, 1-ლ რაიონში, საღამოს 5 ს. შესდგება ქალთა საერთო კრება. მოხსენებას გააკეთებს ისიდორე რამიშვილი.

— დღეს, საღამოს 5 ს., ბიუროს ბინაზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს სად. 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქ ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

# მომარაგების სამინისტროში

**სურსათი მუშა-მოსამსახურეებს.**

მუშათა მაგიდა სულ მოკლე ხანში დაამთავრებს მუშა-მოსამსახურეთათვის სასურსათო ბარათების მიცემას. სასურსათო ბარათები ურიგდებათ ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების საბარათო ბიუროს საშუალებით. ამ დღეებში გამოცხადდება იმ კოოპერატივების ადგილები, საიდანაც მუშა-მოსამსახურენი მიიღებენ თავის რაციონებს.

ჯერ-ჯერობით მუშა-მოსამსახურეებს წესიერათ ურიგდებათ პური, უკვე დაიწყო ბრინჯის დარიგება სულზე 2—2 გირ. და შაქრისა 1—1 გირ. სულზე. ბარათების პატრონთა განზრახულ დუქნებზე მიწერამდე სურსათის დარიგება სწარმოებს ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების საშუალებით და იმ წესით, როგორი წესითაც ნაწილდება პური. შეძენილია დიდძალი ნავთი, რომელიც „მუშათა მაგიდის" საჭიროებას დააკმაყოფილებს დაახლოვებით 6—7 თვით. ამ დღეებში დაიწყება ნავთის დატარება სხვადასხვა პუნქტებზე და აგრეთვე დიდი პარტიობით მიეწოდება ნავთი დაწესებულებებს. უკვე სწარმოებს შეშის წესიერი მიწოდება და დაწესებულია შეშის, ნახშირის და პირველ საჭიროების სხვა საგნების დამზადება.

# ბათუმი

**ქალაქის თვითმართველობისა და საჰქროების დარბევა.**

ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული ის აუტანელი ეკონომიური პირობები, რომელიც ბოლო დროს შექმნა ქალაქში. სასურსათო კომიტეტს ფქვილი გამოელია. დონის ფულის ღირებულება სრულიად დაეცა. მუშა მოსამსახურეებმა ჯამაგირების ამ ფულით მიღებაზე უარი განაცხადეს, რადგან მით ვერაფერს ყიდულობდნენ. ყოველგვარი სანოვაგე შემოქონდათ საქართველოდან და ყიდდენ მხოლოდ ბონებზე.

უკანასკნელათ ინგლისის სარდლობაც თანდათანობით ვალიუტის ბონებზე გადატანის ცდაში იყო. შემოტანილ ნივთეულობის გადასახადის აკრეფა ბონებით იწყეს.

10 იანვარს სასურსათო კომიტეტმა განცხადებით მიმართა მცხოვრებთ, რომ 13 იანვრიდან პური ეღირება გირვანქა 20 მანეთად და ისიც მხოლოდ ბონებით. ბონები საარაკოთ გაძვირდა. 400—500 პროც. მეტს ფასობდა დონის ფულთან შედარებით. ქალაქი კი სავსე იყო დონის ფულებით. შეიქნა აუტანელი მდგომარეობა. ხალხი ღელავდა. ზომებს არავინ იღებდა საქმის გამოსაკეთებლად.

შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ბნელმა პირებმა, რომლებითაც სავსეა დღეს ბათუმი და ისედაც აღელვებულ ხალხს უფრო და უფრო აღიზიანებდენ. ბაზარში კარგა ხნიდან გაიგონებდით უკმაყოფილოთა ხმას, რომ საჭიროა სასურსათო და ქალაქის თვითმართველობათა დარბევაო, რომ ყველაფერი უკეთესად შეიცვალოსო. ერთი რომ ბრძანოს დენიკინმა, პურით აავსებს აჭაურობასო, გაიძახოდნენ მეორენი, და ასე, ნელნელა მზ დდებოდა ნიადაგი იმ სამწუხარო მოვლენის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქალაქში 12 იანვარს და რაც ქალაქის თვითმართველობისა და კერძო საჰქროების დარბევაში გამოიხატა.

ამ დღეს დილიდანვე დაიკეტა საჰქროების უმეტესობა. ვინც ვაჭრობდა, ისიც მხოლოდ ბონებზე. ქალაქში გავრცელდა ხმა, თითქოს ადგილობრივ მილიციას ნაბრძანები ჰქონდეს, არავითარი ზომები არ მიიღოს, თუ ხალხმა საჰქროების დარბევა იწყოსო. შეიქმნა ნერვიული მდგომარეობა. ყველა რაღაცას ელოდა.

მართლაც, 11 საათზე თათრის ბაზრის მოედნიდან დაიძრა ბრბო, რომელსაც წინ მოზარდნი მოუძღოდნენ ყვირილით. ბრბო თანდათან იზრდებოდა და მერე რამოდენიმე ნაწილათაც გაიყო. იწყეს არჩევით მაღაზიების დარბევა.

ბრბოს ერთი ნაწილი გაემართა ქალაქის თვითმართველობისაკენ, ძახილით: „Въ управу, въ управу"-ო! გზაში ბრბო თანდათანობით იზრდებოდა. დაახლოვებით 12 ს. თვითმართველობის შენობის წინ იყრიან თავს და უკმაყოფილებას ყვირილით გამოხატავდენ, სანამ ვიღაცამ ქვა არ გაისროლა და სასურსათო კომიტეტის გამგეობის ბინა არ ჩალეწა.

ამის შემდეგ ბრბო შეიჭრა თვით შენობაში და იწყეს დარბევა. ჩალეწეს მინები, დახიეს წიგნები და საბუთების ქაღალდები, გადმოაბრუნეს და დაამსხვრიეს შკაფები და მაგიდები. ზედა სართულშიაც ავცვივდნენ. დააწიოკეს გამგეობის თავმჯდომარის ინგლისელ ნორმანის და გამგეობის წევრთა კაბინეტები. ყველაზედ მეტად დაზარალდა ელექტრონის წყალსადენისა და სააღმშენებლო განყოფილებები მოსამსახურენი თავზარდაცემულნი გარბოდნენ. აქედან ბრბო ბაზრისაკენ გაემართა.

დარბევის ხმა ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. ვინ გამორბოდა სეირის საცქერად, ვინ დარბევაში მონაწილეობის მისაღებათ, ვის კიდევ ნადავლი მიქონდა სახლისკენ. აღსანიშნავია, რომ მილიცია არავითარ ზომებს არ ღებულობდა

ქართველების მოწინავე ნაწილი შეიკრიბა ეროვნულ საბჭოში და საკონსულოში. საბჭოს დავალებით ჩვენმა კონსულმა მიმართა სამხედრო გუბერნატორს კუკოკლისს წინადადებით, რომ თუ მილიცია ზომებს არ მიიღებს და არ შეუძლია წესიერების აღდგენა და ქალაქი ღვთის ანაბარათ არის მიტოვებული, გადააყენეთ მილიცია, მოგვეცით ეროვნულ საბჭოს განკარგულებაში იარაღი და განსაზღვრულ პირობებში საბჭო ადგილობრივ მცხოვრებთაგან შექმნის წესიერების დამცველ რაზმსო. გუბერნატორმა უპასუხა, რომ ეხლავე იქნება მიღებული საჭირო ზომები და ქუჩებში ჯარს გამოვიწვევთო.

მართლაც, ნახევარი საათის შემდეგ ქუჩაში გამოვიდნენ თოფებით და ხელის ტყვიისმფრქვეველებით შეიარაღებული ინდოელი ჯარისკაცები. საკმაო იყო მათი გამოჩენა, რომ ბრბო მყისვე გაფანტულიყო.

რამოდენიმე ამხანაგი გაემართა სადგურისაკენ და პირდაპირი მავთულით თფილისში სასახლეს გადასცეს მომხდარი ამბები. იქიდან გველაპარაკა ვალიკო ჯუღელი და ალ. დადეშქელიანი, რომელთაც სხვათა შორის, გადმოგვცეს მეტათ სასიხარულო ამბავი—საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. აპარატთან მივიდა აგრეთვე საგ. საქ. მინისტრის ამხანაგი და გადმოგვცა კონსულის სახელზე ოფიციალური დეპეშა, რომ კონსულს იმოქმედნა ინგლისის სარდლობასთან სრულის შეთანხმებით და გამოეცა მოწოდება ქართველ მცხოვრებთადმი წესიერების დასაცავად

საღამოსათვის ქალაქში წესიერება აღდგენილ იქნა. დაატუსაღეს ზოგი მონაწილეთაგანი დარბევის ნადავლით. აღსანიშნავია, რომ დარბევაში მონაწილეობას იღებდნენ უმეტესათ სომეხი ლტოლვილები, რომელთა რიცხვი აქ საკმაოა, რუსები და ნაწილი ბერძნებისა. ქართველებს თითქმის ვერ შეხვდებოდით.

როგორც კი გავრცელდა ხმა, საქართველოსა და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, ქალაქი აფერადდა ქართული ეროვნული დროშებით. ქართველობა ერთმანეთს ულოცავდა სასიხარულო ცნობას. დღის მწუხარებაში საღამოს სიხარულს სულ სხვა ელფერი შექონდა.

საღამოს ქალაქში გააკრეს განცხადებები, რომლითაც მცხოვრებთ აუწყებდენ, რომ 13 იანვრიდან 21-მდე პური ქალაქის სასურსათო ფურნეებში გაიყიდება 20 მან. გირვანქა ისევ დონის ფულზე. ამას აქაური დენიკინელები თავიანთ გამარჯვებათ სთვლიან. მათი ორგანო „ნაშ კრაი" ჯერ სდუმს მომხდარი ამბების შესახებ.

13 იანვარს, დილით გამოვიდა შემდეგი მოწოდება: „ბათუმელ ქართველთა მიმართ: მივმართავთ ქ. ბათუმში მცხოვრებ ყველა ქართველთ,—განურჩევლათ სარწმუნოებისა, რომ 12 იანვარს მომხდარ ამბებს, რაც გამოიხატა ქალაქის თვითმართველობის და მაღაზიების დარბევაში, არ შეუძლიათ მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება. ასეთი ამბები გამოიწვევს მხოლოდ უშედეგო მსხვერპლს და გააუარესებს მცხოვრებთა ნივთიერ პირობებს. ქართველებს, რომელნიც ჩვეულნი არიან დისციპლინას და თავის სურვილების კულტურულ ფორმებში გამოსახვას და რომელთაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ 12 იანვრის ამბებში, მოვუწოდებთ შემდეგშიაც არ აჰყვნენ პროვოკაციას და არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ ასეთ დემონსტრაციებში.

ხელს აწერენ: საქართვ. კონსული ბათუმში. ბათუმის ეროვნული საბჭოები მუსლიმან და ქრისტიან ქართველებისა".

დარბევით მიყენებული ზარალი ჯერ გამოურკვეველია.

საერთოდ, ეტყობოდა ვიღაცის ხელი. განსაცვიფრებელი იყო ის უმოქმედობაც, რომელსაც ადგილობრივი მილიცია იჩენდა.

მეორე დღეს ცხოვრება თითქოს ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, თუმცა საჰქროების უმეტესობა იმ დღესაც დაკეტილი იყო. ქალაქის თვითმართველობაში მეორე დღეს მუშაობა არ ყო-

ფილა ვერც ისე ადრე განახლდება მუშაობა, რადგან მინები ყველა ჩალეწილია. ზარალი აქაც გამოურკვეველია, თუმცა დიდია.

საჭიროა რეალური და რადიკალური ზომების მიღება სასურსათო და სავალუტო კითხვების მოსაწესრიგებლად, თორემ მოსალოდნელია 12 იანვრის ამბების მეტის სიმძაფრით განმეორება.

ჯმუხა.

# უცხოეთი

რუსეთი.

**დენიკინის მდგომარეობის შესახებ.** ბაქოს დენიკინელთა გაზეთი „გოლოს როსსია“ გულს არ იტეხს და ცდილობს მომავალს იმედის თვალით შეხედოს. მას მოყავს ნოვოროსიისკიდან ახალ ჩამოსულ პირის ცნობები იმის შესახებ, რომ იქ მოსულა დენიკინის დასახმარებლად ბულგარელთა და სერბიელთა ჯარი, რომელიც კარგად ჩაცმული და შეიარაღებული ყოფილა. გაზეთის სიტყვით მოკავშირეთა სახელმწიფოებსაც გადაუწყვეტიათ საჩქარო დახმარება აღმოუჩინონ მოხალისეებს. აღნიშნული პირი უარყოფს აგრეთვე ცნობას იმის შესახებ, თითქოს გადამდგარიყოს გენერალი დენიკინი და მის ადგილზე გენ. რომანოვსკი დაენიშნოთ. ფრონტის მდგომარეობის შესახებ გაზეთს მოყავს როსტოვის გაზეთების აზრი (25 დეკ.), რომელიც აღნიშნავს იმ კრიზისს, რასაც თითქოს ბოლშევიკური მთავრობა განიცდის ამ ჟამად. ბოლშევიკების გამარჯვებას გაზეთები იმით ხსნიან, რომ წითელ არმიას ჯერ არ ჰქონია შემთხვევა ეგემებია პირველი გადამჭრელი დამარცხება, რომელიც, გაზეთების აზრით, გამოააშკარავებდა ამ არმიის საბჭოთა მთავრობისადმი უკმაყოფილებას და შესაძლებლობას მისცემდა წითელ არმიელებს ფრონტი მიეტოვებიათ ან ტყვეთ ჩავარდნოდათ მოხალისეებს. გაზეთები თითქოს უმნიშვნელოთ სთვლიან ახალ-ახალ ტერიტორიების დათმობას და უპირატესობას ცოცხალ ძალის გადარჩენას აძლევენ, რომელიც, მათის აზრით, საჭირო იქნება მომავალ გამარჯვებისათვის.

**ასტრახანში.** ასტრახანიდან გამოქცეული ლტოლვილები იტყობინებიან, რომ კომუნისტების ყველა შეიარაღებული ძალები ფრონტზე არიან გაყვანილნი; ქალაქში რჩება მხოლოდ რამოდენიმე ჯგუფი ბოლშევიკებისა, რომელნიც თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი არიან. ყველა გემები საზამთროთ ასტრახანში რჩება; ვოლგაზე და ზღვაზე მხოლოდ ერთი დიდი გემი დადის და რამოდენიმე გამანადგურებელი.

ინგლისი.

**ირლანდიის საკითხისათვის.** ლონდონიდან მიღებული ცნობების თანახმად სახელმწიფო კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებია პროექტი ირლანდიის მართვა-გამგეობის შესახებ, საბოლოოდ გამოიმუშავა შემდეგი დებულებები: ირლანდიაში უნდა დაარსდეს ორი პროვინციალური საკანონმდებლო კრებები,—ერთი იმ პროვინციებისათვის, სადაც ორანჟისტები ბატონობენ, მეორე—ნაციონალისტურ მხარეებისათვის. ორივე კრება დაემორჩილება უმაღლეს კრებას, რომელსაც ირლანდიისათვის სახელმწიფო საბჭოს ხასიათი ექნება. მოსაწესრიგებელია ფინანსიური საკითხები, რაც მეტად თავსამტვრევ საკითხათ არის გადაქცეული ირლანდიაში. ამ მიზნისათვის შეიქმნება განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც ინგლისის ფინანსთა მინისტრიც შევა.

**ტრანსპორტი ინგლისში.** ლოიდ-ჯორჯს წარუდგა დელეგაცია პროვინცია უელსიდან, რომელმაც გააცნო მას, თუ როგორ აუტანელ პირობებში აყენებს მაღაროებში მუშაობის საქმეს ტრანსპორტის დაშლა. ტრანსპორტის არევ-დარევის მიზეზების შესახებ ლოიდ-ჯორჯმა, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა: მთავარი მიზეზი სატრანსპორტო საკითხის გამწვავებისა საერთაშორისო ომია. ომის განმავლობაში მხოლოდ ხმარობდნენ ვაგონებს, აშენებით კი —არ შენდებოდა: მთელ 5 წლის განმავლობაში გაკეთებით მხოლოდ 1.500 ვაგონი მაშინ, როდესაც ომის წინ 4 წ. ახალ აგებულ ვაგონების რიცხვი 10 000-ს უდრიდა. ასეთივე მდგომარეობაშია ლოკომოტივების საქმეც მაგრამ ლოიდ ჯორჯი იმედს მაინც არ ჰკარგავს, რომ ხალხისა და მთავრობის ერთსულოვან და ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობით მალე მოეღება ბოლო დღევანდელ არეულ-დარეულ მდგომარეობას და საქმე ისე მოეწყობა, როგორც ეს ომამდე იყო.

დაღესტანი

**მოხალისეთა დაწესებულებების ევაკუაცია.** ბაქოს გაზეთების ცნობით მოხალისეებს თანდათან გადააქვთ თავიანთი დაწესებულებები პეტროვსკიდან ენზელში. იქვე გადაყავთ თავიანთი სავაჭრო ფლოტილია. ევაკუაციაში მოხალისეებს ეხმარებიან ინგლისელებიც, რომლებიც სპეციალურათ ამ საქმისათვის ჩამოსულან ენზელიდან.

ავსტრია.

**ზალცბურგის საკითხი.** ავსტრიის პროვინცია ზალცბურგი დაჟინებით ითხოვს ნება მიეცეს მას ეკონომიური კავშირი შეკრას ბავარიასთან. 16 დეკემბერს მოხდა კრება ზალცბურგის პროვინციალურ საბჭოსი, სადაც გამოტანილ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: ზალცბურგის საარსებო ინტერესები მოითხოვენ ეკონომიური კავშირის შეკვრას ბავარიასთან; ამიტომ ითხოვს საზავო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს, რათა მან ნება დართოს, გადადგას ზალცბურგმა ასეთი ნაბიჯი. დებატებიდან გამოირკვა, რომ ეკონომიურ კავშირს ბავარიასთან წინ უნდა უძღოდეს პოლიტიკური გაერთიანება გერმანიასთან. ამის გამო ზალცბურგში თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ უმაღლესი საბჭო არ შეიწყნარებს ზალცბურგელების თხოვნას.

## ბესლან—ქუთაის—კოპიტნარის სატრან. რკ. გზა

ამ ხაზის გამოსაძიებნათ შემდგარი ამხანაგობა, რომელშიაც კერძო პირებს გარდა შედიან აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ერობათა და ქალაქთა თვითმართველობები, მიზნათ ისახავს რკინის გზის ლიანდაგის გაყვანას შემდეგი მიმართულებით: დაწყებული სად. ბესლანიდან (კავკავის რკინის გზა) ლიანდაგი წავა დასავლეთის მიმართულებით სოფელ არდონით, ხრისტიანსკით, მაგომეტანსკით და შემდეგ მდ. ურუხის ჭალით (მდ. თერგის მარცხენა შემრთავი) სოფლებ აკსაუ, სტირდიგორასა და კასუზე. აქედან თორმეტ ვერსიანი გვირაბით, რომელიც გასჭრის მთავარ კავკასიის ქედს, ხაზი შემოვა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში. ეს გვირაბი თავდება 5 ვერსტის მანძილზე სოფ. ღებიდან ჩრდილოეთით, სადაც მდ. კოდნარული ერთვის მდ. ჩოშურუს (მდ. რიონის მარცხენა შემრთავი). ამის შემდეგ ზემოაღნიშნული ხაზი, ადგილების ტოპოგრაფიული პირობების გამო საქართველოს რკ. გზ. სად. კოპიტნართან შეერთებამდი არ სტოვებს მდ. რიონის ჭალებს. ამ სახით რკ. გზა აერთებს ქალ. ონს ქუთაისს და მთელ რიგ სოფლებს გაშენებულს მდ. რიონის ორთავე მხარეს, როგორც მაგალითად ღები, უწერა, ნაკეთი, სორი, წესი, ჭრებალო, ალპანა, მექვენა, ნამახვანი და სხ.

ამ გზის ეკონომიური მნიშვნელობა იმდენათ თვალსაჩინოა, რომ მტკიცებას არ საჭიროებს, მით უმეტეს, თუ მივუთითებთ იმ გარემოებას, რომ ამ გზაზე ჩვეულებრივი ორთქლის წევა შეცვლილი იქნება ელექტრონის წევით, რისთვისაც გამოყენებულ იქნება მდინ. რიონის და ურუხის აურაცხელი წყლის ენერგია. რიონსა და ურუხზე განზრახულია რამოდენიმე მძლავრი ელექტრონის ენერგიის სადგურის აგება, იმ ანგარიშით, რომ რამოდენიმე ათეული ათასი ძალა ელექტრონის ენერგიისა, რომელიც გადარჩება რკინის გზის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, პირველ რიგში მოხმარდეს ლიანდაგის ახლო მდებარე ადგილების საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

მთელი რიონის პირის მხარე, რომლის გულშიც არის აურაცხელი მინერალური სიმდიდრენი, როგორც მაგ.: რკინა, სპილენძი, სურმა, სათბობი მასალა და სხვადასხვა მინერალური წყლები და სხვა, თავისი მდიდარი და მშვენიერი ტყეებით და ალპიის სათიბებით, რომლებიც ამ ჟამათ მოხერხებული გზების და თავისი ნაწარმოების გასაღების საშუალების უქონლობის გამო თითქოს ლეტარგიულ ძილს განიცდის, ზემოაღნიშნულ გზის გაყვანის შემდეგ სწრაფათ შესდგება ყოველმხრივი ინტენსიური განვითარების გზაზე, მასზე მოსახლე ხალხთა საკეთილდღეოთ.

ლეჩხუმის, რაჭის და სვანეთის შორეული კუთხეები ისარგებლებენ რა იაფი ელექტრონის ენერგიით, სწრაფათ დაიფარებიან მთელი რიგით ფაბრიკა-ქარხნებით, თავის ნაწარმოებს კი იაფი რკინის გზის წყალობით მოკლე ხანში (2—3 დღე) გაიტანენ შავ ზღვის უახლოეს ნავთსადგურებზე—ფოთსა და ბათუმში.

იაფ ფასიანი ელექტრონის სინათლე გაანათებს არა მარტო ლიანდაგის ახლო მდებარე ქალაქებს, არამედ სოფლებსაც.

ქალაქებში გაყვანილი იქნება ელექტრონის ტრამვაი. საერთოთ ელექტრონის ენერგია გახდება ფართო ხმარების საგნათ, როგორც საწარმოო ადგილებში, აგრეთვე ოჯახშიც.

ამ გზის გაყვანის შემდეგ ჭეშმარიტათ დადგება ახალი ნათელი ერა.

ზემოაღნიშნულ გზას როგორც საერთაშორისო სატრანზიტოს, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს:

1) ამ გზის გაყვანით გროზნის ნავთის რაიონს მიეცემა საშუალება გაზიდოს თავისი ნაწარმოები ფოთსა და ბათუმში, როგორც უახლოეს ნავთსადგურებში. გროზნიდან ფოთამდის, ქუთაისზე, იქნება აღნიშნულის გზით 450 ვერსი, ეხლა კი გროზნიდან უახლოეს ნავთსადგურ-ტუაპსემდე 660 ვერსია ე. ი. 210 ვერსით შემოკლდება მატარებლის გზა.

2) აგრეთვე უმოკლესი გზით შეერთდებიან კასპიის და შავი ზღვები. ბაქოდან ფოთამდის 805 ვერსი არის. ამ გზის გაყვანით კი პეტროვსკიდან ფოთამდის, ბესლან ქუთაიზე, იქნება 600 ვერსი ე. ი. უმოკლესი 205 ვერსით. ამას შედეგათ მოჰყვება ის, რომ მთელი ტრანზიტი შუა აზიისა, სპარსეთის და მდ. ვოლგის რაიონის, რომელიც ეხლა შემოდის ბაქოზე შავი ზღვის ნავთსადგურებით და უკანვე ამ ქვეყნებისთვის, შემოზიდული იქნება ნავთსადგური პეტროვსკით, ფოთით და ბათუმით განზრახული რკ. გზის საშუალებით.

3) ციმბირის ხორბლეულობის უმეტესი ნაწილი (300 მილიონ ფუთზე მეტი), რომელიც გროვდება სადგ. ომსკში (ორენბურგ ომსკ-სემიპალატინის რკინის გზა) განზრახული გზის გაყვანის და მისი გაგრძელების შემდეგ ასტრახანზე ომსკამდის იპოვის უმოკლეს გამოსავალს ზღვაზე ნავთსადგურ ფოთსა და ბათუმში.

ასეთი უძლიერესი შინაური და სატრანზიტო მნიშვნელობა ამ გზისა მოითხოვს ადგილობრივი დაწესებულებების, კერძო წარმოებათა და აგრეთვე ყველა დაინტერესებულ პირთა, განსაკუთრებით კი კომერციულ დარგის მიმდევარ პირთა შეერთებული ძალებით დაუყონებლივ ყოველგვარი მონაწილეობის მიღებას და ხელის შეწყობას, რათა უახლოეს დროში გატარებული იქნას ცხოვრებაში აღნიშნული პროექტი. ამ მხრით ბესლან-ქუთაის-კოპიტნარის რკ. გზის გამომძიებნმა ამხანაგობამ თავისი მხრით მიიღო შემდეგი ზომები:

1) დასრულებულია დასახელებული ხაზის საველე გამოძიების სამუშაო, მთავარი კავკასიის მთიდან სად. კოპიტნარამდის 170 ვერსის მანძილზე.

2) წარმოებს მუშაობა გზის სრული პროექტის შესადგენათ.

3) აღძრულია შუამდგომლობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე ამ გზის აგების კონცესიის ამხანაგობაზე გადაცემის შესახებ (საქართველოს საზღვრებში.)

4) მიღებულია ზომები, რათა მოგვეცეს უფლება მოვახდინოთ ხაზის გამოძიება მთავარი კავკასიის ქედიდან სადგ. ბესლანამდე (ვლადიკავკავის რკინის გზა) 95 ვერსის მანძილზე.

და 5) განზრახული რკინის გზის ასაშენებელი საშუალების გამოსანახავათ ამხანაგობა აწარმოებს მოლაპარაკებას მსხვილ ფინანსიურ სფეროებთან.

გიდგენთ რა ყველა ცნობებს, ამ მთელი მხარისათვის პირველი ხარისხოვანი საკითხის მდგომარეობის შესახებ, გზის გამომძიებნი ამხანაგობა მოგმართავთ წინადადებით საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეებს მიიღოთ თავის მხრით ყოველი ზომები განზრახულ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში.

ამხანაგობა სთხოვს ყველა კითხვები აღნიშნული რკინის გზის შესახებ მიმართული იქნას:

თფილისში—პ. ი. თუმანიშვილს. განოვის ქ. № 21, ტელ. № 48, ანგლო-პოლ-კავკასიური ბანკის გამგეობაში.

ქუთაისში: ქუთაისის ერობის თვით მართველობის თავმჯდომარეს, ან ქუთაისის ქალაქის თავს.

„გაზეთ ერთობის“ მკითხველების საყურადღებოთ

მიმდინარე 1920 წლის 15 იანვრიდან ჩვენი გაზეთი, როგორც თფილისში ისე პროვინციაში

ცალკე ნომერი ღირება—3 მან. თვიურათ—75 მან.

ადგილობრივ გაზეთის გამყიდველებს

ცალი დაეთმობათ 2 მ. 50 კაპ.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (არა უმეტეს 30-თი პეტიტის სტრიქონისა) ღირება 100 მანეთი. დანარჩენი განცხადებების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—5 მანეთი, მეოთხე გვერდზე—4 მანეთი.

(უფ.)

## მასწავლებელთა ყრილობა

4—დღე.

თავმჯდომარეობს ალექსანდრე მდივანი. გრძელდება ადგილებიდან მოხსენებები. **კვიკვიძე** (რაჭის მაზ.) რაჭის მაზრაში სამსახურს გაურბიან რიგიანი მასწავლებლები. ახლად დანიშნული მასწავლებლები ოდნავათაც ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას. სკოლები მოუწყობელია. მასწავლებლებს ხშირად უხდებათ 2—3 განყოფილებასთან მეცადინეობა. ინსტრუქტორი გვიან დაენიშნათ.

**ჩიქოვანი.** (ბათუმი) ბათუმში არსებობს 2 დაწყებითი და ერთი წ. ქ. გ. ს. სკოლა. არ არსებობს მასწავლებელთა კავშირი. ოსმალეთის შემოსევისას სკოლები განადგურდენ. გიმნაზია იმყოფება უმწეო მდგომარეობაში, ვინაიდან მას ვერ აქცევს ჯეროვან ყურადღებას ვერც მთავრობა და ვერც ადგილობრივი საზოგადოება. ამ ჟამად სწავლის მსურველნი ძლიერ ბევრია, მხოლოდ დაკმაყოფილება კი ძნელია შესაფერი ბინის უქონლობის გამო. სახელმძღვანელოებს და სხვა სასკოლო საგნების შეძენა შეუძლებელია განსაკუთრებულ სიძვირის გამო. გიმნაზიაში სწავლობენ მუსულმანებიც. საჭიროა განსაკუთრებულ პირობებში მყოფ ბათუმის სკოლებს მეტი ყურადღება მიაქციოს მთავრობამ.

**ქობულია** (ზუგ. მაზ.) მაზრაში არსებობს 100 დაწყ. სკოლა. 1918 წ. ფილიალები იყვნენ შეუკავშირებელი. 1919 წ. შეკავშირდენ სამაზრო კავშირში. ვინაიდან გამგეობა ცენტრში სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებდა მუშაობას, იძულებული გავხდით გადავვეტანა დაბაში. მაზრის ერობასთან კავშირი მუშაობს კონტაქტით.

**მუკვანაძე** (ქ. ფოთი) ქალაქში არსებობს 8 დაწყ. სასწავლებელი და ერთი უმაღლესი აგრონომიულ განყოფილებით. არსებობს ფილიალი, რომელშიაც შედიან ყველა ტიპის მასწავლებლები. ქალაქს არა ყავს განსაკუთრებული ინსტრუქტორი. კავშირმა დაარსა საპედაგოგიო კურსები.

**ხამხონიძე** (ფოთ. სახ. სასწ.) მომხსენებელი შეეხო ფოთის, ბორჯომის და ხონის სახელოსნო სასწავლებლების მდგომარეობას და აღნიშნავს ამ სასწავლებლების განსაკუთრებულ მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მთავრობა მეტი ყურადღებას აქცევს სატეხნიკო საპროფესიო განათლებას, ხსენებულ სასწავლებლებში დღემდისაც საქმე ვერ არის დაყენებული სასურველ ნიადაგზე.

**ნ. ძიძიგური.** (რკინ. გზ. სკოლა) რკინის გზის მასწავლებლების მდგომარეობა შედარებით უკეთესია ერობის მასწავლებლებზე. დაცულია უფლებრივი და ეკონომიური ინტერესები. სკოლები გაეროვნებულია. მთელ ხაზზე ითვლება 200 მდე სკოლა, თითო მასწავლებელს ყავს არა უმეტეს 40 მოწაფისა. ჯამაგირებს იღებენ თავის დროზე. ძლივეთ გირვანქა პური 3 მანეთად. კონფერენციებზე რკ. გზ. მასწავლებლობა მოითხოვს ერთ ადგილს.

**უდუმაური** (თელ. მაზრა). მაზრაში არის 41 დაწყ. სასწავლებელი. მასწავლებელთა რიცხვი—112 კავშირში შედიან, როგორც ქალაქის, ისე მაზრის მასწავლებლები. სამაზრო ერობასთან დაარსებულია სასკოლო საბჭო, რომელიც განაგებს სასკოლო საქმეებს. საბჭომ მოაწყო ხატვა-ძერწვის კურსები. ერობა აძლევს მასწავლებლებს 2 ფუთ პურს და 1 ფუთ სიმინდს თვეში უფასოდ.

**პატარაშვილი** (გორ. მაზ.). აღნიშნავს სკოლის ცხოვრებაში ორ მომენტს: ძველი სახ. ინსპექტორების და ერობის ხანებს და დაასკვნის, რომ პირველი ხანის სკოლებისათვის არაფერი თვალსაჩინო არ დაუტოვებია, სამაგიეროდ ენერგიულ სასკოლო განყოფილების გამგეს წყალობით მაზრაში გაიხსნა 47 ახალი სკოლა. მასწავლებლები უზრუნველყოფილია ნივთიერად. ძველი ინსპექტორების მიერ გაცემული დოკუმენტების წყალობით მასწავლებლებს უფერხდებათ ხუთ წლეულების მიღება.

**კობიაშვილი.** (დუშ. მაზ.) დუშეთის მაზრაში არსებობს 35 სკოლა. მხოლოდ ყველა ეს სასწავლებლები არსებობენ ქაღალდზე. დანიშნული მასწავლებლები ოდნავათაც ვერ დგანან თავის სიმაღლეზე, სანაცვლოდ მათ სკოლებშიაც ვერ ნახავ. მომხსენებელი დაწვრილებით აღნიშნავს ბოლშევიკების შემოსევის დროს და დაასკვნის, რომ ბოლშევიკებმა სავსებით გაანადგურეს სკოლების ინვენტარი. თუმცა ერობა ღებულობს ენერგიულ ზომებს სკოლების შესაკეთებლად, მაგრამ დიდი იმედის დამყარება შეუძლებელია, რომ ამ მოკლე ხანში სწავლა განათლების საქმე რიგიანად მოეწყოს დუშეთის მაზრაში. მომხსენებელი ყრილობამ შინაარსიანი მოხსენებისათვის დააჯილდოვა ტაშით.

**ყაზბეგი.** (ტიან. მაზ.) მაზრაში ითვლება 100 მდე დაწყებითი სკოლა. სკოლები მოუწყობელია, ბინები უვარგისია. რიგიანი მასწავლებლები არ მოდიან. კავშირი არსებობს, მაგრამ სისტემატიურად ვერ იკრიბება ფილიალების სიშორის გამო. ერობა თავის დროზე ჯამაგირებს არ აძლევს მასწავლებლებს. და მათ უხდებათ თვეობით ცდა ჯამაგირებისათვის.

**ია კარგარეთელი.** (თფ. სას. გალ. მასწ.) მომხსენებელმა წარმოსთქვა ლამაზი სიტყვა სკოლებში გალობის საჭიროებაზე და ითხოვა ყრილობას გამოეთქვა თავიანთი აზრი ამის შესახებ. ასეთ საყურადღებო მოხსენებისათვის ყრილობამ გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შესაფერი რეზოლიუციების გამოტანა.

**ვ. ბურჯანაძე** (ახალც., ახალქალ. და ბორჩალ. მაზრ.) მესხეთ-ჯავახეთში დღემდე არ იყო ფილიალი. ის იქ ეხლა ეწყობა, ბორჩალოს მაზრაში არის 5 დაწყ. სასწავლებელი, მაზრაში არის 12 ქართული სოფელი, სადაც შეიძლება გაიხსნას სკოლები, მაგრამ დღემდისაც ვერ ვიშოვეთ იმ მაზრისათვის მასწავლებლები, მიუხედავათ იმისა, რომ სანოვაგის მხრით იქ სამსახური გაცილებით უკეთესია. ამ მაზრიდან წარმომადგენელი არ არის.

**ქადაგიძე.** (თუშ. ფშავ-ხევს.) ამ მხარეში არსებობს სამიოდე სკოლა, სადაც თითქმის არასოდეს არ არის ნორმალური მეცადინეობა, მას უხდება ლაპარაკი არა იმაზე, რაც არსებობს, არამედ რაც არ არსებობს, ეს მხარე თავის მაღალმხედველობით, ზნე-ჩვეულებით და ჩაცმა-დახურვით სრულებით არ გავს ბარ საქართველოს. ადამიანს ეგონება, თითქოს ეს ხალხი მხოლოდ საქართველოს ბუნებრივ სიმაგრის დასაცველათ იყვნენ შეხიზნული ძველათ და ახლა მთებში. არავითარი თანამედროვე კულტურის ნასახი ამ ხალხში დღემდე არ არის შესული და საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ მხარეს.

**ნ. ნაკაშიძე** („ნაკ.“ რედ.) კითხულობს ვრცელ და დასაბუთებულ მოხსენებას საბავშვო გამომცემლობაზე, რომელიც ყრილობამ სავსებით გაიზიარა და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

**გ. ჭუმბურიძე** (დაბ. სკ. მთავ. გამ.) მომხსენებელი ეხება ახალციხე-სამცხ. და მესხეთ-ჯავახეთის მაზრებს, საიდანაც წარმომადგენელი ყრილობაზე არ გამოცხადებულა. ახალციხე-სამცხე-ჯავახეთში არსებობს 135 დაწყებითი სკოლა. ახალციხეში 5, ხოლო მაზრაში კი 6, ეხლა გაიხსნა 2. სკოლები არის ქართული, თათრული და სომხური. უფრო ნაკლები სკოლების რიცხვია ახალქალაქის მაზრაში. ამას გარდა მომხსენებელი ეხება ერობების დამოკიდებულებას სკოლებთან. ის ლაპარაკობს, რომ არ შეიძლება ერობებზე ბევრი საყვედურის თქმა, ვინაიდან თვით ეს ერობებიც ჯერ-ჯერობით ვერ არიან რიგიანად განმტკიცებული. აღნიშნავს აგრეთვე მთავრობის ნამოქმედარს სწავლა-აღზრდის საქმეში. დაბალი და უმაღლესი სკოლები გადავიდა თავის კრედიტებით თვითმართველობებს. სკოლები გაეროვნდა, გამოიცა დროებითი პროგრამები. დაუმტკიცებელ უმაღლეს სასწ. მასწავლებლების შესახებ მომხსენებელი განმარტავს, რომ ამის მიზეზი არის მათი მოუმზადებლობა იმ სკოლებისათვის. საერთოდ სკოლების მდგომარეობა, თუ შევადარებთ 1917, 18 და 19 წლებს, ბევრად გაუმჯობესებულია. ამის შემდეგ მოხსენებები ადგილებიდან დამთავრდა და ყრილობამ აირჩია 5 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ღირს-შესანიშნავ მოხსენებების შესახებ შესაფერი რეზოლიუციების გამოტანა.

ნოდე.

## ს.-დ. პარტიაში

**ჭიათურა.** 21 დეკემბერს შედგა ჭიათურის კომიტეტის და ჭიათურა-საჩხერის რაიონის კოლექტივების წარმომადგენლების კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენებები კოლექტივებიდან, 2) მოხსენება მომენტზე. 3) მოხსენება სახალხო გვარდიის შესახებ, 4) სამაზრო კონფერენციაზე წარმომადგენლების გაგზავნა, 5) პასუხისმგებელ პროპაგანდისტების შესახებ.

1) მოხსენებას აკეთებს საჩხერის კოლექტივის წარმომადგენელი ვ. კაპანაძე და აღნიშნავს საჩხერის რაიონში პარტიულ მუშაობის საჭიროებას და ოლქში პროპაგანდისტის გაგზავნას პარტიული მუშაობისთვის. ამასთანავე აღნიშნავს, რომ დაქირავებულია ადგილობრივ კოლექტივის მიერ პასუხისმგებელ პროპაგანდისტათ ფ. ჩიკვილაძე თვეში 2 000 მან. 10 დეკემბრიდან. საჩხერის კოლექტივს ახალი არჩევნები მოხდა. კოლექტივში არჩეული არიან ვ. კაპანაძე, ევგ. ერისთავი, დ. ქოჩაშვილი, გრიშა გაფრინდაშვილი, ჩიკოლაძე, ი. ვეფხვაძე, ა. ბერონიძე. თავმჯდომარეთ ვ. კაპანაძე, [illegible] დ. ქოჩაშვილი, მდივნათ [illegible] რათ ევგ. ერისთავი. სარევიზიო კომისიაში შალიკო გედევანიძე და სტ. კიკაჩეიშვილი. ს. რგანის კოლ. წარმომადგენელი ს. ხვედელიძე აღნიშნავს, რომ მუშაობა მიმდინარეობს პარტიაში ნორმალურათ. პარტიის კასაში საწევრო გადასახადი შემოდის. პარტიის წევრი არის 45; პერევისის კოლექტივის წარმომადგენელი აღნიშნავს პარტ. მუშ. არის, მხოლოთ საწევრო გადასახადი სისტემატიურად არ შემოდის. პარ. წევრი გვყავს 60. შუქრუთის—აღნიშნავს პარტიულ მუშაობის გულგრილობას, ინტელიგენტურ ძალების უყოლობის გამო, პარტიის წევრი 25. ქვაცხის—პარტიული მუშაობა ქვაცხებში სასურველ ნიადაგზე არის დაყენებული, პარტიის წევრი 35. ნიკოზითის—პარტიული მუშაობა ნორმალურათ მიმდინარეობს, პარტიის წევრი 70. პასუხისმგებელი პროპაგანდისტი დევიძე ამბობს, რომ საჭიროა არის ინტელიგენტური ძალები ყოველგან, რომ შეიტანონ ხალხში განვითარება და სასურველ ნიადაგზე დააყენონ კოლექტივები, დადგენილ იქნა დაევალოს კოლექტივების წარმომადგენლებს მიიღონ ზომები, რომ შეკრან სოფლებში ქვე-კოლექტივები და გააჩაღონ პარტიული მუშაობა.

2) მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ანთელიძე. 3) სახალხო გვარდიის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. სახარულიძე, რომელიც მოუწოდებს კოლ. წარმომ. რათა მიიღონ ენერგიული ზომები, რომ პარტიის წევრები ჩაწერონ გვარდიაში. 4) სამაზრო კონფერენციაზე გაიგზავნოს თითო წარმ. კოლექტივიდან და მასთან მოწინავე ამხანაგებიც. 5) მიეცეს თითეულს თვეში 1500 მ. ამასთან ეცნობოს საქ. ცენ. კომიტეტს, რათა გადმოსცეს ჭიათურის კომიტეტს 12 დეკემბრიდან ერთი პროპაგანდისტის ჯამაგირი, რომელიც ეძლეოდა ვ. კაპანაძეს, ვინაიდან ვ. კაპანაძე აღარ ითვლება პასუხისმგებელ პროპაგანდისტათ, მისი საჩხერის თემის თავმჯდომარეთ არჩევისა გამო.

მდივანი მ. დობორჯგინიძე.

**ქ. ზესტაფონი.** 28 დეკემბერს შესდგა ზესტაფონის თემში არსებული სოფლების ქვეკოლექტივთა შეერთებული კრება. კრებას დაესწრნენ 14 სოფლის ქვეკოლექტივთა წარმომადგენელნი. კრების საგანი იყო: 1. კლდეეთის და საქარის საზოგადოებათა კოლექტივების გაერთიანება; 2 პარტიული მუშაობის გაჩაღება და 3 ზესტაფონის თემის კოლექტივის არჩევა.

პირველი კითხვის შესახებ მომხსენებელმა აღნიშნა კლდეეთის და საქარის საზოგ. კოლ. გაერთიანების აუცილებლობა იმის გამო, რომ ეს ორი საზოგადოება ადმინისტრატიულათ უკვე შეერთდა ერთს—ზესტაფონის თემში და საჭიროა პარტიული მუშაობის შეკავშირებაც. კრებამ მოიწონა მომხსენებლის აზრი და დაადგინა იქმნას არჩეული ერთი კოლექტივი ორივე უკვე შეერთებულ საზოგადოებათათვის. მომხსენებელმა პარტიული მუშაობის შესახებ აღნიშნა საერთოდ პარტიული მუშაობის მოდუნება და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ახლად არჩეულ კოლექტ. საშვალება ექნება, თუ კი მოინდომებს, პარტიული მუშაობა გააჩაღოს და სოფლების წრეებში აწარმოოს სისტემატიური მეცადინეობა—ბაასი ამხ. სოფლის მუშებთანო. კრებამ დაადგინა: დაევალოს კოლექტივს პარტიული მუშაობის ასაღორძინებლათ სოფლებთ, მოაწყოს მოწინავე ამხანაგების საშვალებით სოფლის „იაჩეიკებში“ სისტემატიური ბაასი, რისთვისაც უნდა მიმართოს სამაზრო კომიტეტის დახმარებისათვის.

დასასრულ არჩეული იქმნა ზესტაფონის თემის კოლექტივი 11 კაცისაგან და სარევიზიო კომისია 3 კაცისაგან.

დამსწრე.

## მუშათა შორის

**არსენალის მუშების და მოსამსახურეების** საერთო კრებამ 3 იანვარს მოისმინა რა მოხსენება ამხ. ნ. ბახტაძისა მუშებისათვის პირველ მოთხოვნილების საგნების და სურსათის შეღავათიან ფასებში მიწოდების შესახებ, დაადგინა: თანამედროვე გართულებულ ეკონომიურ პირობებში იმ ზომებით და ნაბიჯებით, რომლებიც გადადგა ახლად დაარსებულ მომარაგების სამინისტრომ რესპუბლიკის მუშების მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არსენალის მუშების და მოსამსახურეების საერთო კრება, თუმცა დაკმაყოფილებულია, მაგრამ ამასთანავე გამოსთქვამს სურვილს, რომ იმ შეცდომებს და გაუფრთხილებელ ნაბიჯებს, რომლებიც ხდებოდა აქამდე არსებულ სხვადასხვა სახის მთავრობის სასურსათო ორგანიზაციებში, არ ჰქონდეთ ადგილი ახალ მომარაგების სამინისტროში, განსაკუთრებით კი, რესპუბლიკის საზღვრებიდან

სხვადასხვა მასალების უშუალოდ გაზიდვის საკითხში. მდივანი.

---

**ხისურხათა ხაქმეზე მომუშავეთა კავშირი.** 9 იანვარს შესდგა სასურსათო საქმეზე მომუშავე პროფესიონალური კავშირის გამგეობის სხდომა. გასარჩევი იყო: 1) შრომის ბირჟა, 2) სამედმყოფო კასა, 3) რეგლამენტის შედგენა და 4) საწევრო გადასახადის გადიდება.

საკითხი შრომის ბირჟის შესახებ გამგეობამ გადადო შემდეგი სხდომისათვის. სამედმყოფო კასის შესახებ დადგენილ იქნა: ვინაიდან შრომის კომისარის განკარგულებით დაინიშნა რევიზია მეპურე მუშათა სექციის სამედმყოფო კასაზე, ამიტომ სარევიზიო კომისიაში გაიგზავნოს სასურსათო საქმეზე მომუშავეთა კავშირის ერთი წარმომადგენელი, რომელსაც დევალა ახლო მომავალში მოახსენოს გამგეობას კასის მდგომარეობა. დამტკიცებული იქნა შემდეგი რეგლამენტი: 1) გამგეობის სხდომას ხსნის თავმჯდომარე. 2) მომხსენებლის დრო არ არის განსაზღვრული. 3) ორატორს პირველად სალაპარაკოთ ეძლევა 10 წუთი, შემდეგ 5. 4) პრეზიდიუმის სხდომები ინიშნება ოთხშაბათობით საღამოს 5 საათზე. 5) გამგეობის სხდომები ინიშნება თვეში ორჯერ ორშაბათობით საღამოს 5 საათზე. 6) გამგეობისა და პრეზიდიუმის ისეთი წევრები, რომლებიც არა საპატიო მიზეზით და ზედიზედ არ დაესწრებიან სხდომებს, ასეთი წევრები გამგეობის თანხმობით გამორიცხული იქნებიან წევრობიდან. 7) თუ დანიშნულ დროზე ქვორუმი არ შესდგება, სხდომა იხსნება 15 წუთის შემდეგ ქვორუმის შესრულების შემდეგ. 8) გამგეობის წევრები ყოველთვის სხდომის დაწყებისას უნდა ჩაეწერონ განსაკუთრებულ რვეულში, სადაც ნაჩვენები იქნება იმ სექციის სახელწოდება, რომლის წარმომადგენელნიც ისინი არიან. 9) პრეზიდიუმი არჩევს ნიშვნელოვან და გადაუდებელ საკითხებს, როგორც მაგ. მომატება შეთანხმება და სხვა 10) პრინციპიალური საკითხები კი, როგორც მაგალითად მომატებაზე, სამედმყოფო კასის საწევრო გადასახადზე, გაფიცვებზე, მნიშვნელოვან ხელშეკრულობაზე, გადაეცემა განსახილველად და საბოლოოთ დასამტკიცებლად გამგეობის შეერთებულ სხდომას. 11) პრეზიდიუმის თვითეული წევრი ვალდებულია პრეზიდიუმის გადაწყვეტილების კონსპექტი იქონიოს. 12) არც გამგეობისა და არც პრეზიდიუმის არც ერთ წევრს უფლება არ აქვს დემონსტრატიულად დასტოვოს სხდომა, როცა ის არ ეთანხმება ამა თუ იმ გადაწყვეტილებას პრეზიდიუმის და გამგეობისას 13) პრეზიდიუმის ყოველივე გადაწყვეტილება შეიძლება გადატანილ იქნას გამგეობის წევრის მოთხოვნით 14) სხდომის ოქმი მტკიცდება შემდეგ სხდომის გახსნისას. 15) გამგეობისა და პრეზიდიუმის თითეული წევრი ქალაქიდან ერთი კვირით ან მეტი გასვლისას ვალდებულია წერილობითი გან ხადება შეიტანოს გამგეობაში თავისი წასვლის შესახებ. 16) კავშირის თითოეულ წევრს უფლება ეძლევა სათათბირო ხმით დაესწროს გამგეობის სხდომას.

ამის შემდეგ გამგეობამ იმსჯელა რა, ცხოვრების გაძვირებაზე და სექციებისა და ცენტრალური კავშირის მატერიალური მდგომარეობაზე და 2) სატარიფო პალატის მიერ მუშათა ჯამაგირების გადიდებაზე, გადაწყვიტა სექციისა და კავშირის წევრების გადასახადი ერთი პროცენტიდან ორ პროცენტამდე გადიდოს, რითაც საშვალება მიეცემა კავშირებს მატერიალურად უზრუნველყოფილი იყვნენ.

გამგეობამ იქონია აგრეთვე მსჯელობა მინერალურ წყლების ქარხნებში მომუშავე კონდუქტორების შესახებ და გაარჩია რა მათი მოთხოვნილება, რომ მათ გაუთანასწორდეთ ჯამაგირი 1 კატეგორიის მუშებთან ან ყოველ გაყიდულ ბოთლზე 10 პროც. მაგიერ მიეცეთ 20 პროც; ძირითადი ჯამაგირი კი 600 მან, თვიურათ თვითეულს; გამგეობამ დაადგინა: არავითარ პროცენტულ ანგარიშს მუშათა და დამქირავებელთა შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ამიტომ გაიგზავნოს წარმომადგენელი სატარიფო პალატაში, რომელიც მტკიცეთ დაიცავს კონდუქტორების ჯამაგირებზე გადაყვანას.

# პროვინცია

**ხაჩხერის რაიონი.**

6 დეკემბერი.

უკვე ქართლსა და იმერეთის ბანდიტყაჩაღები ალაგმულია. ოპერაცია თითქმის დამთავრებულია. ეხლა მოქმედების გეგმა აუცილებელია გადატანილ იქნას ჯავის ხეობაში, ვინაიდან იქითკენ შეაფარეს თავი მეამბოხეებმა. გორის მაზრიდან ორი მხრით აწარმოებს ოპერაციას პოლკ. ხიმშიაშვილი. და რომ ბანდიტებს ექნას საშუალება მოსპობილი შორაპნისა და რაჭის მაზრებში გადასვლისა, ჩვენ გვებარძანა დაგვეკავებინა ყველა გადასავალები ჯავიდან შორაპნისა და რაჭის მაზრებში: ერწო, წონა, ზამთარეთი, აბანო, თედელეთი და სხვ. ვინაიდან სულ სხვა მხარეზე გვიხდებოდა ფრონტის გადატანა, ამისათვის ქართლში დაკავებული პოზიციებიდან ჩვენ მოვიხსენით და გადავიტანეთ სამოქმედო ეგეგმა შორაპნის ოსებში.

უკვე დილადაეე მოვიხსენით ჩონთოდან და გავემგზავრეთ მთელი რაზმით ს. ჭალისაკენ. გზა დიდი იყო. გვარდიელები ძლიერ დაიღალენ. საღამო ხანია, უკვე ჭალაში ვართ. უკვე დავბინავდით. სასწრაფოთ შევიკრიბეთ საველე შტაბში და მომავალ ჩვენ გეგმის ასრულების შესახებ გვაქვს თათბირი. რაზმის უფროსი ტრ ლაბაძე ქარტაზე ზომავს გასავლელ მანძილს ერთი სტრატეგიულ პუნქტიდან მეორემდე აქვე შტაბში დაისვა კითხვა შესაძლებელია თუ არა მშვიდობიანის გზით აღნიშნული გეგმის ასრულება. აქ გვიჩნდება ერთი საუცხოვო ამხანაგი, ადგილობრივი მომუშავე, ამხ. გიორგი აბაშიძე. ამ უკანასკნელმა ძლიერ კარგი ცნობები მოგვცა. უკვე შევთანხმდით, თუ შესაძლებელი იქნას მშვიდობიანის გზით საქმის გათავება. საველე შტაბმა დაიბარა ოსეთიდან ხალხის წარმომადგენლები მოსალაპარაკებლათ. ამავე დროს ჩვენ ჩვენსას არ ვიშლით: ვიყოთ მუდამ მზათ. მზვერავი რაზმი წინა ხაზზე გაგზავნილი და სასტიკ თვალყურს ადევნებს მოწინააღმდეგის მოქმედებას.

7 დეკემბერი.

მთელი დღე ახლო-მახლო სოფლების განიარაღებას მოვანდომეთ. ფართო საზოგადოება ძლიერ მოხარულია ჩვენი მოქმედებით. საღამო ხანია. მოვიდა ოსეთიდან სამი დელეგატი, რომლებსაც გადავეცით ჩვენი მოთხოვნილებანი. ხალხის განიარაღებით, ეტყობოდა, დელეგატები არ იყვნენ კმაყოფილნი. ჩვენ მათ განუმარტეთ, თუ რატომ გადაწყვიტა ჩვენმა მთავრობამ იარაღების აკრეფა; თუ რა ბოროტ-მოქმედებებს აქვს ადგილი იარაღის ქონებას და სხვა. დელეგატები წავიდნენ. ამავე დროს ჩვენი რაზმის მიერ დაკავებულ იქნა ჯრია, დარკა, ქარზმანი და პერევი.

8 დეკემბერი.

წინა დღით დაკავებული სოფლების განიარაღება სწარმოებს. გრძელდება პზადება მთელ ხაზზე წინ წასვლისა რაზმის ხელმძღვანელი ამხ ლაბაძე სულ ქარტას ჩასცქერებია. ეტყობა ახალი ფრონტი, მისი სიშორე საჩხერიდან, მიუვალი გზები, ადგილის მდებარეობა —მთაგორიანი, ზედმეტ ფიქრს ბადებს მასში და წინდახედულ მუშაობას აწარმოებს იგი. ეს უკანასკნელი ჩვენ გვიხსნის რომელი პოზიციები როდის უნდა იქნას ჩვენ მიერ დაჭერილი და სხვა. საველე შტაბის კრებაზე გადაწყდა: მეორე დღეს ადრე დილით მთელი რაზმის შესვლა ოსებში.

მოგვემატა ახალი ძალა—ასი გვარდიელი ყვირილა-შეთერიდან გამოგზავნილი. ახლათ მოსული ამხ ნაგებით ჩვენ ძლიერ გავიხარეთ. მათ მოყვა ჩვენი გვარდიელებისათვის უკვე კარგათ ცნობილი „დობლური“. საუცხოვოა ეს ადამიანი, იგი ყველას უყვარს. მისი მუდამ მხიარული და მომცინარე სახე, რაც უნდა ცუდ ხასიათზე იყოს ადამიანი, მაინც მხიარულებას გვრის. რამოდენიმე დღით იყო იგი წასული „კომანდიროვკაში“ და ძლიერ მოწყენილი ვიყავით.

9 დეკემბერი.

მთელი გვარდიის რაზმი გაემგზავრა პერევისაკენ. წინდაწინვე დაზვერულ ადგილებში გავლის დროს ჩვენ მაინც სიფრთხილით მივდიოდით გრძელ და ვიწრო ხეობით. უზარმაზარი, თვალუწვდენელ თოვლით დაპენტილ ორ მთას შუა გვიხდებოდა მოგზაურობა ვიწრო გზაზე. არა მარტო იარაღით, რამოდენიმე პირს—მოწინააღმდეგეს შეუძლია შეაჩეროს დროებით ჩვენი წინსვლა. ჩვენ უკვე პერევში ვართ. ეს სოფელი ქართველებითაა დასახლებული. ამას იქით იწყება ოსეთი. აქ ჩვენთან მოვიდენ ოსების დელეგაცია, რაც პირველ დელეგაციას მოვთხოვეთ: იარაღის ჩაბარება, ყაჩაღ-მავნე პირების ჩვენზე გადმოცემა და გზათ ოსეთზე გავლა.

დელეგატები დაგვპირდნენ ამ მოთხოვნილების შესრულებას; ხოლო გვთხოვეს არ გამოგვეჩინა ზედმეტი სიმკაცრე და მათი ოჯახების აწიოკება. ჩვენ დავპირდით. ამავე დროს ოსები დაგვპირდნენ თავიანთი მხრით დახმარების აღმოჩენას, რისთვისაც ისინი მოითხოვდნენ წინდაწინვე ჩვენი მისვლის მათთვის შეტყობინებას. ეს მოვლენა დამაფიქრებელი იყო. საღამოსვე გამოყოფილ იქნა ასი გვარდიელი ამხ. ლ. გამყრელიძის მეთაურობით, რომელიც მოულოდნელათ შევიდა ოსებში, რითაც ჩვენმა რაზმმა ოსები ფაქტის წინაშე დააყენა. დავიკავეთ რა სტრატეგიული პუნქტები და სადარაჯოები, გამოირკვა, რომ ახალგაზრდები და ქალები ყველა მთაში გახიზნულიყვნენ. გამოირკვა, რომ ჩვენს წინააღმდეგ დიდ პროვოკაციას ქონოდა ადგილი: ჩვენ ოსები გვეძახდნენ თათრებს: „აი მოდიან თათრები, ოჯახებს ააწიოკებენ, ქალებს გააუპატიურებენ, სახლებს გადაწვავენ და სხვა“. მაგრამ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ჩვენი გვარდიელები იგივე მუშებისა და გლეხების შვილები იყვნენ და ყველა თითქმის მათი მეზობლები,—შორაპნის მაზრის მცხოვრებლები, რომლებსაც ოსებთან ერთად წარსულში უმუშავნიათ ქიათურა-საჩხერეში, პროვოკაცია გაიფანტა.

10 დეკემბერი.

დილის 4 საათზე იქნა გამოყოფილი მთელი რაზმიდან ერთი „ვზვოდი“ და გაგზავნილი ამხ. ტატიშვილის მეთაურობით ერწო-წონა-ზამთარეთის დასაჭერებლათ. ცუდი ამინდია, ცივი ქარი უბერავს, ყინვაა. საზაფხულო ტანთსაცმელში ჩვენს გვარდიელებს დიდი გაჭირვების ატანა მოუხდათ. არც სურსათის საქმე იყო მოწყობილი კარგათ. მიუხედავათ ენერგიული მუშაობისა, საოჯახო ნაწილის გამგის ვ. ფერაძისა, ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ცუდი მიმოსვლისა და მთა-გორიანი თოვლით შემოსილ ადგილებში წესიერი მიწოდება. მაგრამ გმირული გვარდია არც ამას შეუფერხებია. თუმცა სურსათ-სანოვაგე მეხუთე დღეს მოგვდიოდა, მაგრამ ერთი საყვედურიც არ ყოფილა. დიდი გასაჭირი იყო უთუთუნობის ნიადაგზე. გვიხდებოდა გაზეთის ქაღალდში გამოხვევა ხის ფოთლებისა. არსად დუქნი, არსად კოოპერატივი. ამ დროს მოგვდის საჩხერიდან და ყვირილიდან თამბაქო და პაპიროსები. საერთო სიხარულია. ცეკვა, თამაში და ყიჟინა მთელს გვარდიაში. ადგილობრივი ოსების საერთო კრება, სადაც ჩამბარებული იქნა შტაბის. თავმჯდომარის მიერ გვარდიის მისვლის მიზეზი, ჩვენ კატეგორიულათ მოვითხოვეთ მთელი იარაღების ჩაბარება და ყაჩაღ-ბანდიტ მავნე პირების ჩვენზე გადმოცემა. ვადა მივეცით ერთი დღე და ღამე. ოსებს იარაღის ჩაბარება არ გახარებიათ, მაგრამ რას იზამდენ—ვაკაჭანი არ ქონიათ. უკვე ხალხი იშლება და ჩვენც მივდივართ სადარაჯოების დასათვალიერებლათ, რომ მოვიდა ჩვენთან ტატიშვილისაგან გამოგზავნილი შიკრიკი, რომელიც გვთხოვდა ძალის შიმატებას, ვინაიდან ჯავის თავის ოსები წინააღმდეგობას აპირებდენ; ფაცხლად გადაისხა იარაღი მზვერავი რაზმის უფროსმა ლ. გამყრელიძემ და წავიდა მისაშველებლათ. ჩვენმა გვარდიის ნაწილმა გმირულათ გადაიარა წონა-ზამთარეთი, განაიარაღა ჯავის თავის (გორის მაზრა) ათი სოფელი და შეუპოვრათ გადავიდა რაჭის ოსეთში კუდაროში. თოვლი დიდია, ყინვებია, ცა მოღრუბლულია; დიდი გრგვინვა ისმის. ეტყობა დიდი თოვლი მოვა. ერთსა და იმავე დროს ჩვენი გვარდიელების სხვადასხვა ნაწილების მიერ ხდება შორაპნის, გორისა და რაჭის ოსების განიარაღება. დიდი გაჭირვება ნახა ჩვენმა გვარდიამ კუდაროში (რაჭის ოსებში), სადაც ჩვენი გვარდიელები თვალუწვდენელ ერთი მთის მწვერვალიდან გადადის მეორე მთაზე. არც ურემი, არც ცხენი ამ გზით არ მიდის; თოვლი დიდია, ყინვებია. განვაიარაღეთ რა რაჭის ოსების 21 სოფელი, ჩვენი რაზმი მივიდა დენიკინის საზღვარზე. აქ ჩვენმა რაზმმა აღმოაჩინა დენიკინიდან ახალი გადმოსავალი. ეს გადმოსავალი წინათ საცალფეხოთ ყოფილა მოწყობილი და ეხლა შავ გენერალს გზა გაუკეთებია და ფურგნები თავისუფლათ მოვლენ ჩვენ საზღვრებზე. ამ გადმოსავალზე ჩვენი რაზმის მიერ თავის დროზე იქნა მიქცეული ჯეროვანი ყურადღება გადასავლის დასაკეტათ. ეს გადასავალია ლეთა-ჯიჯორის სათავე, 10—15 ვერსით დაშორებული ზიმთარეთიდან. აღვადგინეთ რა წესიერება ზემო აღნიშნულ მაზრების ოსებში და კერძოთ რაჭისაში—კუდაროში, რაზმის ხელმძღვანელმა მისწერა რაჭის კომისარს, მოსულიყო და ადმინისტრაცია აღედგინა. ოსებს ყავდათ თავისი ადმინისტრაცია, მაგრამ მათ ჩვენ ადმინისტრაციასთან არავითარი დამოკიდებულება არ ქონიათ. მათ ყავდათ თავისი კომისრები და მილიციონერები. არც გადასახადზე და არც ჯარზე არავინ არაფერს არ ამბობდა. როდესაც ჩვენ განვუმარტეთ მათ სხვადასხვა საკითხები და რესპუბლიკის მიერ გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლათ გადასახადების აკრეფა, ოსებმა გვითხრეს: „დაგვღუპეს ჯავამ და კუდარომ. ჩვენ უპატრონოთ ვართ; ჩვენ ყველაფერს მოწყვეტილი ვართ; თქვენმა მთავრობამ ჩვენ არ გვიკადრა—ჯარში ჩვენ არ გვიწვევსო“. და სხვ.

13 დეკემბერი.

იარაღი იკრიბება; ხალხი თანდათან გვეჩვევა; რწმუნდება, რომ ჩვენ არა ვართ არც თათრების და არც თავადაზნაურების მომხრენი: დიდი სიმპატია დაიმსახურა ჩვენმა რაზმმა იმით, რომ ჩვენი დანაპირები ასრულეთ: წესიერება აღვადგინეთ, იარაღები ავკრიბეთ, ყველაფერს, რაც კი გვეჭირდებოდა, ფულით ვყიდულობდით და რაც მთავარი იყო, ჩვენი გვარდიელები ჩვენდა ნება დაურთველათ ოსების ოჯახში არ შედიოდენ.

14 დეკემბერი.

ჭალის მთაში ვართ. იქ, ვნახე მჟავე წყლები; იქვე ახლოს არის ნავთის და სპილენძის მადნები; ხის მასალა ურიცხვი. რა მშვენიერებაა ჭალის მთა უზარმაზარი ძეწნა'ავით სწორი, თვალ უწვდენელი ცაცხვისა და თელის ხეები. რაოდენი სიმდიდრე არის დატოვებული უყურადღებოთ ამ მხარეში რკინის გზის გაყვანით ჩვენი რესპუბლიკა დიდათ წაიწევს ეკონომიურათ: ტყე, მჟავე წყალი, ტყვია, ნავთი, ეფარი და სხვა. ადგილობრივი ხალხი სიხარულით ხვდება ჩვენს განცხადებას, რომ ახლო მომავალში ჩვენი მთავრობა გაიყვანს რკინის გზას.

15 დეკემბერი.

სოფ. სინაგურში შეკრებილია მთელი შორაპნის მაზრის შვიდი სოფლის ოსები. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, ხალხი ძლიერ ბევრია შეკრებილი. კრებაზე მოხსენებით წარსდგენ საველე შტაბის წევრები, რომლებმაც გააცნეს დამსწრეთ დღევანდელი პოლიტიკური და ოსების მდგომარეობა. რომ ოსები დღეს ჩამოშორებულია და მიტოვებულია ღვთის ანაბარათ. მიტინგზე ილაპარაკეს ადგილობრივმა ოსებმა თითქმის უმრავლესობამ. მათ ნალაპარაკევში აშკარათ იყო პატივების და სინანულის აღსარება. ყველა ოსები ერთხმად ამბობდენ: შარშან შეცდომაში შეგვეყვანეს ყაჩაღებმა და მავნე პირებმა; ჩვენ მოვწყდით ჩვენ მეზობლებს და ჩვენ ძმებს ქართველებს; ვერც ჯავა და ვერც კუდარო ჩვენ ვერ გვიშველის. და გვიშუამდგომლეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, გვაპატიონ წარსული შეცოდებანი და მივცილოს თავის სიყვარულის ქვეშ.

მიტინგმა ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია რესპუბლიკის ფარგლებში დარჩენისა და შორაპნის მაზრის განუყრელ მცხოვრებლათ დარჩენისა, რისთვისაც გამოიტანეს რეზოლიუცია—„პრიგოვორი“ და კიდეც აირჩიეს მთავრობასთან და ერობასთან მოსალაპარაკებლათ თავისი წარმომადგენელი სიმონ ძუსოშვილი.

17 დეკემბერი.

ოპერაციები თავდება; ჩვენი რაზმი სტოვებს რაჭ სა და გორის მაზრას და გადმოდის შორაპნის მაზრაში. ახალი გადმოსავლის დაცვა თავზე იდვა რაჭის მაზრის კომისარმა; თოვლი დიდი მოვიდა. ამ ხანებში მოვიდა ბრძანება ხიმშიაშვილისა, ოპერაციების დამთავრებისა და მწყობრათ უკან დახევისა. წამოსვლისას ოსები სიხარულით გვემშვიდობებოდენ და გვთხოვდენ ახლო მომავალში მათთან სტუმრათ მისვლას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მხარეებისათვის ჩვენ მთავრობას არავითარი ყურადღება არ ჰქონია მიქცეული აქნამდის. ზედმეტია ლაპარაკი იდეიურ მუშაობაზე. მთელი წელიწად ნახევარი ისე გასულა, რომ ჩვენი მთავრობის კაცი სტუმრათაც არ შესულა ამ მხარეში. საჭიროა ეხლა მაინც გავასწოროთ წარსულის შეცდომა და მივიდეთ ამ ხალხთან და ავუხსნათ დღევანდელი მდგომარეობა.

19 დეკემბერი.

უკვე საჩხერეში ვართ. ამ დიდი ოპერაციების შემდეგ გამარჯვებული გვარდიელები სიხარულით ფეხზე ძლივ დგანან. ს. ჩხერეში ჩვენ დაგვხვდა საოლქო შტაბიდან გამოგზავნილი მუსიკა და ფოტოგრაფი. აქვე იყო საოლქო შტაბის თავმჯდომარე გ. შენგელია და შტაბის წევრი ს. კობახიძე, რომელთაც ძლიერ გაუხარდათ ყველას უვნებლათ დაბრუნება. დილის 8 საათზე ყველანი ყვირილისაკენ გამოვემგზავრეთ, სადაც უნდა დაგვეცადა ახალ განკარგულებამდე. ნიკა.

---

**ზესტაფონი.** შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობის მეცადინეობით მაზრა სანიტარული მხრით კარგ პირობებშია. თითქმის ყველა მთავარ პუნქტებზე არის ექიმები და ექიმების თანაშემწეები. ამას უნდა მიეწეროს, რომ გასულ წლის უკანასკნელ ხანებში მაზრაში ნაკლები ადგილი ქონდა ეპიდემიურ ავათმყოფობას, რაც დიდ ნუგეშს აძლევდა მცხოვრებთ.

ამ წლის 8 იანვარს სამაზრო ციხეში წინწკლებიანი ტიფით გარდაიცვალა ტუსაღი. ეს დიდი უბედურების ნიშანია სენის გავრცელების მხრივ. ამას დაუყონებლივ უნდა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, რომ აქედან არ დაურჩეს სათავე მაზრაში ამ გამანადგურებელ სენის გავრცელებას, როგორც გასულ წელს, თორემ თუ ამ შიმშილობაზე დაერთო გამანადგურებელი შავი ჭირი, ხალხის სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ექნება. მხოლოდ სასწრაფო საჭირო ზომების მიღება ექიმების და ყოველნაირი სხვა დახმარება ადგილობრივ თვითმართველობის მხრით იხსნის ხალხს ამ ახალი უბედურებისაგან. მართაშვილი.

---

**სოფ ზემო ავჭალა.** სოფ ზემო ავჭალის საკულტ. განმან. საზოგადოების „განთიადის“ გამგეობამ ამ თვის 12 მოაწყო სახალხო გვარდიის პატივსაცემლად დღესასწაული, რომლის შემოსავალი მის სასარგებლოდ გადაიდვა. აი თვით ანგარიში: შემოვიდა: 1) ბუფეტიდან 1603 მ. 2) გაყიდული ბილეთები 574 მ. და 3) შემოწირულება 394 მ., სულ 2751 მ. გასავალი იყო ბუფეტის და სცენის მოსაწყობად 1348 მ. დარჩა წმინდა შემოსავალი 1413 მან. რაიცა გადაეცა დანიშნულებისამებრ.

გამგეობა დიდ მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, რომელთაც თავი არ დაიზოგეს და ხელი შეუწყეს ამ დღესასწაულის გამართვას, სახელდობ. სცენის მოყვარეთ—ალ. მამიაშვილს, მ. მამულაშვილს, ვ. გოგნაშვილს, ა. გელოვანს, ქ. ამირანაშვილს, ს. რთველიშვილის ასულს, ბუფეტში მომუშავეთ—დ. მამულაშვილს, გ. რაზმაძეს და ს. სუხიაშვილს. შენობის და მუსიკის დათმობისათვის—ბ: კირ. ჭყონიას—ლოტბარს რ. ფოლდას; ფულის შემომწირველთ: ივ ჭყონიას—100 მან. გ. რატიშვილს—50 მ., კ. ხიდაშნიძეს—50 მ., კუტავაძეს—37 მ., შათირიშვილს 31 მ., პ., მამულიშვილს—20 მ., ვლ. ბითაძეს—20 მ., გ. რაზმაძეს—20 მ., ბაგაშვილს—10 მ., ხოსრუაშვილს—10 მ, მანველიძეს—10 მ., ნ. შამანაურს—10 მ., გოჯაძეს—10 მ., ვ. აბაზაძეს—6 მ., იტრიშვილს—5 მ ნ. მათიაშვილი—10 მ., და კაპანაძეს—5 მ. გამგეობა განსაკუთრებულ მადლობას უძღვნის ავჭალის გვარდიის რაზმს, რომელმაც ვ. ერქომაიძის მეთაურობით ჯერ დილითვე მოგვილოცა დღესასწაული და მერმე საღამოს წარმოდგენაზე დაესწრო მთელი შემადგენლობით, რამაც დიდი აღტაცება და სიამოვნება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. გამგეობა.

# წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო საქართველოს საისტორიო მუზეუმის გამგეს ს. გორგაძეს და მის თანაშემწეს, რომლებმაც არ დაიშურეს შრომა და დრო და ხაზინიდან ჩამოსულ უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლის მოწაფეებს დაათვალიერებინეს მუზეუმი შესაფერი ახსნა განმარტებით. აგრეთვე ულრმეს მადლობას ვუცხადებთ სახელმწ. თეატრის კომისარს ბ. წუწუნავას, რომელმაც საბავშო სპექტაკლზე დაუთმო ექსკურსიას უფასოდ 11 ლოჟა, არტისტიულ საზოგადოების თეატრის გამგეს—ტუმანოვს, რომელმაც იმავე ექსკურსიას დაუთმო უფასოდ 3 ლოჟა, და ანჩის ხატის მოძღვარს, რომელმაც ვრცელი ახსნა განმარტება მისცა მოწაფეთ დასახელებული ტაძრის შესახებ. საზოგადოდ გულითად მადლობას უცხადებთ ყველა იმ პირთ, რომლებიც დაეხმარენ და ხელი შეუწყვეს ექსკურსიას.

მოწაფეების და ექსკურსიის ხელმძღვანელების მონდობილობით მ. ფარცხალაძე.


# განცხადებანი

მოსამზადებელი კურსები ი. მ. მაჩაიძის

**გიმნაზიის**

პროგრამით, ამზადებენ ბავშვებს 1, 2, 3 კლასში შესასვლელად ყველა სასწავლებლისათვის. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 22, ჩაწერა 9—12 ს. (153 2—2)

ექიმი

**ლ. ცურიაშვილი**

იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა; № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

**იუიდება 24 მარტს** ...
ჩერქეზიშვილის ქუჩა № 22, მ—12 ს. (152—2—2)

პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმ ნავასარდიანისა**

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაარსდ. 1880 წ.

ყოველ დღე კვირის გარდა.
„606“ და „914“ 11—12 საათ.
ზ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურგ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
ვ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშო ავად. აცრა.
მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად (სიფილ.) ხირურგ.
კარუკეხ-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. ბორჯეკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
ტერ გრიგორიან—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

**ექიმი ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

**ექიმი ვ. მ. მმანარიშვილი**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ.)

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 18 (თ. 3065).

დოქტორი მედიცინის

**ა. ა. მონსე**

სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით ავათმყოფობანი კუჭისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10 1/2—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—2)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი მ. ა. ... 
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით ... დილით. მისამართი: ... ქუჩა № 32

ექიმი დ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ბეჟანის ... ახლო.

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისთვის

**დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი**

# „ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტროსაგან. გამოდის გაფართოვებული პროგრამით საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის**

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯერ
„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯელ
წლიურად ორივე გამოცემის ფასი 150 მან.
ცალ-ცალკე . . . 85 „
ნახევარი წლით . . . 90 „

მისამართი: თბილისი, „ნაკადულის“ რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შესასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—56. (6. 8—6)